Conflict Resolution and Peacebuilding Historical Archive of Georgia, by ICCN

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604

ქართული შრიფტი

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. **გაბაშვილი გიორგი**
2. **გოგორიშვილი ხათუნა**
3. **გოგუაძე გია**
4. **ვეფხვაძე ლევანი**
5. **თარგამაძე გიორგი (გივი)**
6. **თედორაძე რამაზი**
7. **ლალიაშვილი ნიკოლოზი**
8. **ლორთქიფანიძე დიმიტრი**
9. **მინაშვილი აკაკი**

2008-11-24 21:43

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 24 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

II ნაწილი

(საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე)

2008-11-24 21:43

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 24 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პ. დავითაია

თავმჯდომარე. მოგესალმებით, ბატონო დავით. ცოტა უჩვეულოა ჩემთვის ახლა აქ ჯდომა და ბატონი დავითი, ბატონო დავით, როგორც ცნობილი არის, შექმნილი არის დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც სწავლობს აგვისტოს მოვლენების შედეგებს და იმ პირობებს, თუ როგორ მოვიდა აგვისტოს მოვლენებამდე სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, მზად ხართ თუ არა თქვენ ითანამშრომლოთ დროებით საპარლამენტო კომისიასთან და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია.

დ.ბაქრაძე. მოგესალმებით, ღრმად პატივცემულო კომისიის წევრებო, ბატონო თავმჯდომარევ. ბუნებრივია, მე მზად ვარ, მოგაწოდოთ ის ინფორმაცია, რომელიც ჩემს ხელთ არსებობს იმ თემებთან დაკავშირებით, რომელიც კომისიას აინტერესებს და რომელზეც კომისიის წევრები საჭიროდ ჩათვლიან კითხვების დასმას.

თავმჯდომარე. ბატონო დავით, როგორც ცნობილი არის, აგრესია არ დაწყებულა აგვისტოს თვეს და ეს დაიწყო

უფრო ადრე, რომ თქვენ სანამ გახდებოდით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, იყავით სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარგში, იყავით საგარეო საქმეთა მინისტრი და თქვენ ფლობდით ძალიან დიდ ინფორმაციას იმ მოვლენებთან დაკავშირებით, თუ რა ხდებოდა ამ პერიოდში, საუბარი არის აგვისტოს თვემდე, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები. ძალიან მნიშვნელოვანია კომისია ფლობდეს იმ ინფორმაციებს, თუ რა კეთდებოდა სახელმწიფოს მხრიდან, კეთდებოდა თუ არა მაქსიმუმი იმისათვის, რომ ეს კონფლიქტი არ მომხდარიყო და ამ პროვოკაციის მსხვერპლი სახელმწიფო არ გამხდარიყო. რა შეთავაზებები იყო სახელმწიფოს მხრიდან, იგივე სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებთან, რა შეთავაზებები იყო რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მიმართ. ის ცნობილი გეგმა, რომელიც ჩვენ გავიგეთ ამ . . . პირობებში, სადაც საუბარი არის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნაზე გალსა და ოჩამჩირეში. თუ რა კეთდებოდა სახელმწიფოს მხრიდან იმისათვის, რომ აგვისტო არ მომხდარიყო. აი, აგვისტოს თვემდე, რაც გაგაჩნიათ თქვენ ინფორმაცია გთხოვთ, მოგვაწოდოთ. შემდგომ, უკვე, აგვისტოს მოვლენებს ჩვენ დეტალურად გავივლით. თუ აგვისტოს თვემდე რამე დამატებითი კითხვები აქვთ კომისიის წევრებს გთხოვთ, დასვათ და ბატონი დავითი შემდგომ გააგრძელებს.

ა.მინაშვილი. ბატონო დავით, კონკრეტულად შტაინმაიერის გეგმასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. რა ბედი ეწია ამ გეგმას, რატომ არ განხორციელდა?

და კიდევ ერთი კითხვა, ჩვენ ეს კითხვა მოქმედ საგარეო საქმეთა მინისტრსაც დავუსვით. იყო საუბარი, თითქოს, იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი უცხოელი მეგობრები გვაფრთხილებდნენ ხშირად ასეთი შესაძლო პროვოკაციის შესახებ. და მეორე, ჩვენი მეგობრებისათვის სად გადიოდა წითელი ხაზი, მათთან კომუნიკაციის პერიოდში რას იძახდნენ ისინი, სად გადაიოდა მათთვის წითელი ხაზი? მე ვგულისხმობ რუსეთის მოქმედებებს, იყო თუ არა ამაზე საუბარი და რა პოზიცია ჰქონდათ მათ? დიდი მადლობა.

თავმჯდომარე. დიახ. ბატონო გოკა.

გ.გაბაშვილი. ბატონო დავით, ჩვენთვის, ყველასთვის, ცნობილი ფაქტებია, რომ რუსეთმა თანმიმდევრულად ჯერ დაამყარა ოფიციალური ურთიერთობები აფხაზეთთან და ოსეთთან და გამოაცხადა ამის შესახებ ღიად, ამით დაარღვია ჩვენი სუვერენიტეტი. შემდგომ გამოვიდა დსთ–ს ხელშეკრულებიდან, რომელიც მათ ავალდებულებდა იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს. ეს მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. მუდმივად ხდებოდა ჩვენი საჰაერო სივრცის დარღვევა და ამგვარად ჩვენი სუვერენიტეტის დარღვევა და გვაქვს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარეობდა სამხედრო, ასე ვთქვათ, ინფრასტრუქტურის შექმნა სეპარატისტებისთვის. ეს ყველაფერი არის ცხადი დარღვევა ჩვენი სუვერენიტეტისა. რა მოხდა ასეთი აგვისტოში, რომ აქამდე ჩვენ მათ პასუხს არ ვცემდით და ბატონი აკაკის შეკითხვას შევეხმიანები, რა იყო ჩვენი პარტნიორებისთვის წითელი ხაზი ერთია, მაგრამ რა იყო ჩვენთვის წითელი ხაზი და გქონდათ თუ არა თქვენ უშიშროების საბჭოზე მსჯელობებისას ნათელი წარმოდგენა, რა არის ის წითელი ხაზი რომლის შემდეგაც ჩვენ აუცილებლად უნდა ვუპასუხოთ ჩვენი სუვერენიტეტის დარღვევას?

თავმჯდომარე. ქალბატონო ხათუნა.

ხ.გოგორიშვილი. ბატონო დავით, ერთი მიმართულება საგარეო საქმეთა სამინისტროსი ანუ ურთიერთობა ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ბატონმა აკაკიმ დასვა ამის თაობაზე შეკითხვა. მე მინდა მეორე მიმართულებაზე დავსვა შეკითხვა. თქვენი საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდში ხდებოდა თუ არა კოორდინაცია ჩვენს წარმომადგენლობებთან და საელჩოებთან უცხოეთში. მე აგვისტომდე ვუსვამ ამას ხაზს. კონკრეტულად, რა სახის ინფორმაცია გადიოდა, რა სახის მუშაობა იყო და განსაკუთრებით მაინტერესებს რუსეთის საელჩოსთან დაკავშირებით, მოდიოდა თუ არა კონკრეტული ინფორმაციები, მოდიოდა თუ არა, რა თქმა უნდა, თუ ამის თქმა ღია სხდომაზე შესაძლებელია, მოდიოდა თუ არა რაიმე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხდებოდა გარკვეული ესკალაცია? ჰქონდა თუ არა საგარეო საქმეთა სამინისტროს თქვენი მინისტრობის პერიოდში ინფორმაცია რუსეთის საელჩოდან კონკრეტული ქმედებების შესახებ, რაც ხდებოდა რუსეთში? გმადლობთ.

დ.ბაქრაძე. დიდი მადლობა. მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანია აგვისტოს მოვლენების სრულფასოვანი შეფასებისთვის იმის გააზრება, თუ რა ხდებოდა წინა პერიოდის განმავლობაში და რა პროცესების შედეგად მივიდა ქვეყანა აგვისტოს მოვლენებამდე, რუსეთის ღია აგრესიამდე, იყო თუ არა ეს მართლაც რუსეთის მხრიდან რეაგირებითი ნაბიჯი ქართულ პოლიტიკაზე თუ, პირიქით, ეს იყო ლოგიკური დასრულება იმ პოლიტიკის, რომელსაც რუსეთის ფედერაცია წლების მანძილზე ატარებდა საქართველოსთან და კონფლიქტურ ზონებთან მიმართებაში. მე ბოლო 1 წლის განმავლობაში პრაქტიკულაად მქონდა უწყვეტი შეხება ამ პრობლემებთან, ვინაიდან შარშან ივლისში დავინიშნე კონფლიქტების მოგვარების სახელმწიფო მინისტრად, ხოლო შემდეგ ვიყავი საგარეო საქმეთა მინისტრი. ამიტომ მე შემიძლია მოგახსენოთ ყველაფერი ის, რაც ჩემი პირადი მონაწილეობით მოხდა ბოლო 1 წლის განმავლობაში და ჩემი რწმენა ამ შემთხვევაში, როგორც იმ თანამდებობის პირის, ვისაც უხდებოდა მუდმივი შეხება ამ პრობლემებთან, არის ის, რომ რაც მოხდა აგვისტოში, წარმოადგენს ლოგიკურ გაგრძელებას იმ რუსული პოლიტიკის, რომელსაც ჩვენ ვხედავდით წინა წლების მანძილზე და რომელსაც

ახასიათებდა მზარდი აგრესიულობა და რომლის ლოგიკური შედეგი იყო სწორედ ფართომასშტაბიანი აგრესია. მე შევეცდები უბრალოდ, ქრონოლოგიურად გავყვე ძირითად მოვლენებს, რაც კომისიის წევრებსაც და საზოგადოებასაც დაეხმარება, ვთქვათ, ამ დასკვნის შეფასებაში.
ალბათ, ამოსავალი წერტილი უნდა დავიწყოთ სამშვიდობო გეგმიდან, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა გაახმოვანა ჯერ ევროსაბჭოში, შემდეგ - ევროპარლამენტში, შემდეგ მოხდა მისი განხილვა ეუთოში და შემდეგ, ლიუბლანაში, ეუთოს საგრეო საქმეთა მინისტრებმა ოფიციალურად მიიღეს და დაამტკიცეს ეს გეგმა. ეს მოხდა ნოემბერში. გეგმა ვერ შესრულდა ერთადერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ უკვე შემდეგი წლის იანვარში ანუ, პრაქტიკულად, გეგმის მიღებიდან 1 თვის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საერთოდ უარყო ამ გეგმის თაობაზე შეთნხმების არსებობა, საერთოდ უარყო, რომ ასეთი გეგმა იყო მოწონებული ეუთოს მიერ და აბსოლუტურად ისეთი, საბჭოური სტილის დიპლომატიური მეთოდების გამოყენებით დაიწყო გეგმის სისტემატური ბლოკირება ეუთოში, სადაც პირველ რიგში უნდა მომხდარიყო ამ გეგმის შესრულება, და რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით და მათი, ასე ვთქვათ, კარნახით, ანალოგიური გზა აირჩია ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამაც. ანუ ქართული მხარის შეთავაზება, რომელიც ქართულმა მხარემ გააკეთა 4 წლის წინ და რომელიც ჩამოყალიბდა კონკრეტული, აბსოლუტურად კონკრეტული სამშვიდობო გეგმის სახით, აბსოლუტურად კონკრეტული საგზაო რუკის სახით, ყოველკვირეულად გაწერილი ღონისძიებების სახით, თუ როგორ უნდა მივსულიყავით კონფლიქტის გადაჭრამდე, ეს გეგმა საქართველოს მხრიდან იყო მუდმივად მოლაპარაკების საგანი, ეს გეგმა საქართველოს მხრიდან იყო მუდმივად ღირებული და ჩვენ მუდმივად ვადასტურებდით, რომ ამ სამშვიდობო გეგმის ფარგლებში მზად ვიყავით, თუნდაც, იმ დღეს, თუნდაც, მეორე დღეს დაგვეწყო მოლაპარაკებების პროცესი და დაგვეწყო ამ გეგმის შესრულება, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც არ სრულდებოდა ეს გეგმა. გახლდათ, როგორც მოგახსენეთ, რუსეთის წინააღმდეგობა და, აქედან გამომდინარე, სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგობა. გეგმას, არ დარჩა როგორც, ასე ვთქვათ, განყენებული სამშვიდობო შეთავაზება, გეგმას შემდეგ მოყვა ლოგიკური გაგრძელებები. დავიწყოთ 2007 წლიდან. 2007 წლის მარტში უკვე გამოქვეყნდა დამატებითი დოკუმენტი ქართული მხარის მიერ. ეს იყო. ეგრეთწოდებული, მემორანდუმი, რომელიც ძალიან დეტალურად განმარტავდა კიდევ დამატებით საკითხებს, რომელიც გამომდინარეობდა ლუბლიანის სამშვიდობო გეგმიდან. ეს მემორანდუმი ჩვენ დავუგზავნეთ ყველა ჩვენ პარტნიორს, ეუთოს ფარგლებში რამდენიმე სხდომაზე იყო, მუდმივი საბჭოს რამდენიმე სხდომაზე იყო მსჯელობა ამ მემორანდუმთან დაკავშირებით. და ისევ მემორანდუმმა ვერ მიიღო გაგრძელება ერთადერთი მიზეზის გამო. ეს იყო ეუთოს ფარგლებში, ეუთოს მუდმივი საბჭოს ფარგლებში რუსეთის წინააღმდეგობა და რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის წინააღმდეგობა. ანუ ქარტული მხარის სამშვიდობო პოლიტიკის გაგრძობადობას აჩვენებს სწორედ ის, რომ 2005 წლის სამშვიდობო გეგმის შემდეგ 2007 წელს ჩვენ კიდევ გამოვედით დამატებითი წინადადებებით, რომელიც კიდევ უფრო განავრცობდა და ახდენდა ამ გეგმის კიდევ უფრო მეტ კონკრეტიზაციას. იმავე 2007 წლის სექტემბერში იყო საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, სადაც პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართული მხარის ერთგულება სამშვიდობო პოლიტიკის მიმართ. სადაც მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ძალაში რჩება ყველა ის სამშვიდობო წინადადება, რომელიც წამოყენებული იყო მანამდე ქართული მხარის მიერ და სადაც ის გამოვიდა ინიციატივით დაწყებულიყო მიმდინარე, აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის გადასინჯვა. თუ რა ბედი ეწია ამ გადასინჯვის პროცესს ამაზე ოდნავ მოგვიანებით შემდგომ უკვე ქრონოლოგიურად მოგახსენებთ. მაგრამ 2007 წლის სექტემბერში საქართველოს პრეზიდენტმა გაეროს ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართული მხარე მზად იყო თუნდაც იმ დღეს, თუნდაც მეორე დღეს დაეწყო სამშვიდობო გეგმის შესრულება და დაეწყო რეალური სამშვიდობო პროცესი ორივე რეგიონში. ისევ და ისევ, სამწუხაროდ, არანაირი პროგრესი ამ მიმართულებით არ იქნა მიღწეული არა ქართული მხარის გამო.პროგრესის ძირითად ხელისშემშლელ მიზეზს წარმოადგენდა სწორედ რუსეთის ფედერაციის პოზიცია.

ამის პარარელურად მე მოგახსენებთ რამდენიმე სხვა ღონისძიებას, რომელიც, მე ვთვლი, რომ მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ გამოჩნდეს თუ რას აკეთებდა ამ პერიოდში ქართული მხარე. ჩენ არ ვიყავით მხოლოდ იმის იმდედად, რომ, ვთქვათ, გამოვიდოდით სამშვიდობო გეგმით, დავწერდით სამშვიდობო გეგმას და შემდეგ ეს გეგმა რაღაც გაურკვევლობაში ვენაში დაიკარგებოდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ ვცდილობდით ძალიან აქტიური ორმხრივი ურთიერთობების დამყარებას რუსეთის ფედერაციასთან. ჩვენ მუდმივად ვცდილობდით მოგვეძებმა მისაღები წინადადებები, რომლითაც რუსეთს წამოვიყვანდით გარკვეულ დათმობებზე და დავიწყებდით კონფლიქტების მოგვარების პროცესს და ჩვენ მუდმივად ვცდილობდით გვქონოდა პირდაპირი დიალოგი სეპარატისრული რეჟიმების წარმომადგენლებთანაც,

მიუხედავად მთელი რიგი ძალიან სერიოზული მორალური და პოლიტიკური პრობლემებისა, რომელიც ახლავს იმ ადამიანებთან ურთიერთობას, ვინც პასუხისმგებელია ეთნიკურ წმენდაზე. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ჩვენ მზად ვიყავით და ვაწარმოებდით მათთანაც მოლაპარაკებებს, რათა
მოგვეძებნა მათთვისაც მისაღები გზები და კონფლიქტის მოგვარების პროცესი წინ წაწეულიყო. ეხლა მე ისევ
რამდენიმე ფაქტს მოგახსენებთ , რომ არ დარჩეს უბრალოდ, სიტყვებად. 2007წ. ჯერ კიდევ,
ჩემი პარლამენტში ყოფნის დროს და წინა მოწვევის დეპუტატები დამეთანხმებიან, რომ პარლამენტში
იყო რამდენიმე სერიოზული მცდელობა, რომ დაგვემყარებია ურთიერთობები რუსეთის დუმის

წევრებთან, სახელმწიფო სათათბიროს წევრებთან, რათა საპარლამენტო არხით მაინც მოხერხებულიყო , ვთქვათ, კონსულტაციების გამართვა და საკითხის წინ წაწევა. იყო ქართული დელეგაციის ვიზიტი მოსკოვში, ბატონი მიხეილ მაჭავარიანი, ხელმძღვანელობდა, შემდეგ, ჩვენ მოვიწვიეთ რუსი კოლეგები , შემდეგ კიდევ იყო მცდელობა ქართველი დეპუტატების წასვლის. სამწუხაროდ, ეს იდეა და კონტაქტის ეს არხი ვერ განვითარდა, თუმცა მე დღესაც მიმაჩნია , რომ
ნორმალურ ქვეყანასთან ურთიერთობის პირობებში საპარლამენტო ურთიერთობის არხს, შეუძლია , ძალიან სერიოზული და პოზიტიური როლის შესრულება. სამწუხაროდ, აი მთელი 2006 და 2007 წლის განმავლობაში, ჩვენ რუსეთთან ვერ მოვახერხეთ რეალურად ამ საპარლამენტო ურთიერთობების არხის ამუშავება , რომ გადავიდეთ ისევ 2007 წელზე, რომ დავბრუნდეთ, იმის შემდეგ, რაც მე დავინიშნე კონფლიქტების მინისტრად , ჩემი პირველი ვიზიტი იყო მოსკოვში, ეს იყო 2007 წლის 30 აგვისტო, სადაც მე მქონდა შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ...მდივანთან, კარასინთან. ეს გახლავთ ადამიანი , რომელიც კურირებს კონფლიქტების პრობლემატიკას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, და უშიშროების საბჭოს, რუსეთის უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებთან. შემიძლია გითხრათ , რომ ძალიან მწვავე საუბარი გვქონდა სურვლის შემთხვევაში , საუბრის ჩანაწერი არსებობს და შეგიძლიათ გამოითხოვოთ შესაბამისი უწყებიდან საგარეო საქმეთა სამინისტროდან. იყო ძალიან მწვავე საუბარი , მაგრამ ჩემი მხრიდან იყო მუდმივად გარდა .....

თავმჯდომარე. ბატონო დავით, თუ შეიძლება მოკლედ თუ შეიძლება საუბარი არსი, რაზეც იყო , რაზეც არ თანხმდებოდა რუსული მხარე ამას მნიშვნელობა აქვს . ჩვენ, რა თქმა უნდა, იმას გამოვითხოვთ .....

დ.ბაქრაძე. კი, ბატონო მუდმივი, მუდმივი თემა, რომელსაც მე რამდენჯერმე დავუბრუნდი შეხვედრის დროს იყო ის, რომ აუცილებელია დაიწყოს კონკრეტული ნაბიჯები კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით , რომ აუცილებელია დავიწყოთ ბოლოს და ბოლოს ამ კონფლიქტების გადაწყვეტა , რომ ჩვენ მზად ვართ მოვისმინოთ რუსეთის მხრიდან კონკრეტულად, რას ელოდება რუსეთი , როგორ
ხედავს რუსეთი, მისთვის მისღებ განვითარებას, რომ რუსეთი ჩაერთოს
კონფლიქტების მოგვარების პროცესში კონსტრუქციულად და ჩვენ მზად ვართ, მათთან ვიმსჯელოთ ღიად და გულახდილად. ეხლა იმ პერიოდში . . .

თავმჯდომარე. მაქსიმალური შეთავაზებები იყო, საქართველოს მხრიდან ორჯერ, თუ არ ვცდები.

დ.ბაქრაძე. ბუნებრივია, ბუნებრივია იმ პერიოდში იყო ასევე ზუსტად რამდენიმე ხნით ადრე დაახლოებით 3 კვირით ადრე, 6 აგვისტოს, მოხდა წითელუბნის ინციდენტი, რომელიც კარგად გახსოვთ. ამიტომ ეს იყო, ძალიან მწვავე მომენტი ქართულ–რუსული ურთიერთობების და ჩემი ვიზიტის ერთ–ერთი ამოცანა სწორედ ის იყო , რომ, ისიც იყო, რომ ამ მწვავე მომენტში არ გაგვეწყვიტა ბოლომდე კომუნიკაცია
გამოვსულიყავით მათთან პირდაპირი დიალოგის მცდელობით და რაღაცნაირად მოგვეხერხებია, ის, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებით მიუხედავად სიმწვავისა, მიუხედავად წითელუბნისა, მიუხედავად განსხვავებული პოზიციებისა, შეგვენარჩუნებინა დიალოგის ხაზი კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით. ჩვენ მაშინ იმაზეც, დავუბრუნდები, რომ მართლა ძალიან მწვავე კამათი გვქონდა, მაგრამ ჩემი მხრიდან მუდმივად იყო, რასაც, სხვათა შორის, მაშინ ბატონი კარასინი დაეთანხმა, რომ
მიუხედავად განსხვავებული პოზიციებისა, აუცილებელი კონტაქტის შენარჩუნებისა, აუცილებელია დიალოგი და საბოლოო ჯამში ამ დიალოგის შედეგად, ჩვენ შეიძლება რაღაცნაირად შევთანხმდეთ ორივე მხარისთვის მისაღებ სქემაზე. ამიტომ მაშინ ჩვენ იმაზეც კი შევთანხმდით, რომ მობილურები გავცვალეთ და დავთქვით, რომ იყოს ეს არხი, იმუშაოს ჩვენი ურთიერთობის არხმა, რომ როგორც კი რაღაცა გამწვავება იქნება, როგორც კი რაღაც პრობლემა იქნება, ოპერატიულად ჩვენ ვიყოთ ერთმანეთთან კავშირზე, რომ ეს პრობლემები მოვხსნათ. სამწუხაროდ, მინდა გითხრათ, რომ ამ არხს რეალურად შემდეგ არასდროს არ უმუშავია, თუმცა იქ შეხვედრის მსვლელობის დროს მე მაქსიმალურად შევეცადე დამენახებინა ქართული მხარის სწრაფვა, რომ ჩვენ გვინდა მშვიდობიანად მოვაგვაროთ ეს კონფლიქტი და ჩვენ გვინდა დიალოგის გზით, მათ შორის, რუსეთთან დიალოგის გზით მოვაგვაროთ ეს კონფლიქტი. ამის შემდეგ იყო 20 სექტემბერი, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიაზე, ზემო აფხაზეთში, კოდორში მოხდა შეტაკება და აქ ქართულმა მხარემ გაანადგურა დივერსანტების ჯგუფი, სპეცჯგუფი, სადაც 2 რუსი ოფიცერი იმყოფებოდა ასევე. ამან, იმ მომენტში მკვეთრად დაძაბა ვითარება და ამ სიტუაციაში ქართულმა მხარემ გადადგა კიდევ ერთი შემხვედრი ნაბიჯი, ამჯერად უკვე ნაბიჯი სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლების მიმართულებით და ეს იყო ის პერიოდი, როდესაც ამ ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ მე ჩავედი სოხუმში. საკმაოდ დიდ ხნის განმავლობაში პირდაპირი კონტაქტი და ცენტრალური ხელისუფლების ოფიციალური თანამდებობის პირის ოფიციალური ვიზიტი სოხუმში საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე აღარ იყო შემდაგრი. მე ვიყავი ჩასული სოხუმში. მაშინ, ალბათ, გახსოვთ შევთანხმდით ტყვეების გადაცემაზე. ეს იყო აბსოლუტურად კეთილი ნების ჟესტი და კეთილი ნების ნაბიჯი ქართული მხრიდან, რომ ჩვენ აფხაზურ მხარეს გადავეცით და დავუბრუნეთ ტყვედ აყვანილი სამხედრო მოსამსახურები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვქონდა საფუძველი იმისთვის, რომ გვეფიქრა ამ ადამიანების პასუხისმგებლობაზე, ჩვენ გამოვიჩინეთ ეს კეთილი ნების ნაბიჯი და ადამიანები გავუშვით და

უკან დავუბრუნეთ. და გარდა ამისა, ასევე, ამ შეხვედრაზეც, რომელიც მე მქონდა დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრთან ბატონ შამბასთან, მე შევეცადე მასთან მაქსიმალურად უკვე ორმხრივ ფორმატში მეჩვენებინა, რომ აუცილებელია ქართველებსა და აფხაზებს შორის საერთო ენის გამოძებნა და მესამე მხარე, რომელიც ჩვენს შორის დგას, ის არის მხარე, რომელსაც ამოძრავებს საკუთარი ინტერესი და ჩვენ ქართველებმა და აფხაზებმა უნდა შევძლოთ ორმხრივ საფუძველზე ჩვენი ინტერესების რეალიზება. და დღესაც დარწმუნებული ვარ და დარწმუნებული ვიქნები, რომ აფხაზეთის, აფხაზების, აფხაზური ეთნოსის ინტერესის დაცვის ერთადერთი გზა არის მათთვის პრივილეგირებული სტატუსის ქონა ერთიან ქართულ სახელმწიფოში. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზური ეთნოსი, უბრალოდ, დროში ვერ გადარჩება მე ეს მას აბსოლუტურად გულწრფელად ვუთხარი და აბსოლუტურად გულწრფელად ვუთხარი, რომ ჩვენი მხრიდან არის მზადყოფნა. დავიწყოთ კონკრეტული მუშაობა და გავხსნათ კომუნიკაციის არხი. ვიმუშაოთ მიუხედავად განსხვავებებისა, შევეცადოთ, რომ დავახლოვდეთ და კონფლიქტი არ არის არც თქვენს ინტერესში, არც ჩვენს ინტერესში და შევეცადოთ, რომ ორმხრივი ფორმატით რაღაცნაირად წინ წავწიოთ კონფლიქტის მოგვარება.

ამავე შეხვედრაზე, სხვათა შორის, რამდენიმე საკითხზე შევთანხმდით კიდევაც, მაგალითისთვის გეტყვით, რომ პრაქტიკულად შევთანხმდით, თუმცა ბოლომდე ვერა, მაგრამ მნიშვნელოვნად, რომ გალში უსაფრთხოების საკითხებზე დიალოგი აღდგებოდა. ეს იყო თემა, რომელიც აფხაზურ მხარეს ძალიან აწუხებდა და აქაც ჩვენ გამოვიჩინეთ კეთილი ნება. თუმცა, მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ არ დავთანხმდით ე.წ. ჭუბურხინჯის ფორმატის აღდგენაზე, რომელიც მიმდინარეობდა რუსი სამშვიდობოების შტაბში და სადაც წამყვან ვიოლინოს ასრულებდნენ რუსი სამშვიდობოები.

ჩვენ შევთავაზეთ სხვა ფორმატი, რომელზეც სხვათა შორის მაშინ ბატონი შამბა დამთანხმდა ეს გახლდათ ფორმატი, რომ შეხვედრები გაიმართებოდა გაეროს ოფისებში გალში და ზუგდიდში რიგ-რიგობით. შეხვედრის წამყვანი იქნებოდა გაერო და რუსი სამშვიდობოები ე.წ. მონაწილეობას მიიღებდნენ მხოლოდ როგორც ერთ-ერთი დამკვირვებელი. ანუ, რეალურად, რუსეთის მიერ დომინირებული პროცესიდან ჩვენ გვქონდა შანსი გადავსულიყავით პირდაპირ ქართულ - აფხაზურ ურთიერთობის პროცესში, სადაც რუსეთი წარმოდგენილი იქნჯებოდა იგივე სტატუსით, როგორც, ვთქვათ, გაერო, როგორც ეუთო ... იყო მაშინ იმ მომენტისთვის, ამაზე ვმუშაობდით შემდგომი ორი თვის განმავლობაში, თუმცა, სამწუხაროდ, ამ შეთანხმების რეალიზება ბოლომდე ვერ მოხერხდა.

იყო კიდევ ერთი საკითხი, რომელიც, ასევე, ძალიან აწუხებდა მაშინ აფხაზურ მხარეს. ეს იყო ერთ-ერთი აფხაზი დე-ფაქტო თანამდებობის პირის გაქრობის საკითხი, გეხსომებათ, ალბათ, სიგუას თემა. ქართულ მხარეს, ბუნებრივია, ჩვენ, ჩვენთვის მტკივნეულია ნებისმიერი ადამიანის უგზოუკვლოდ გაქრობა. მაგრამ გალში იმ პერიოდში იყო 55 ადამიანი დაახლოებით, რომელიც იყო უგზო-უკვლოდ გამქრალი სწორედ გალში არსებული უკონტროლობის გამო. ამიტომ ჩვენი პოზიცია იყო, რომ უნდა გამოვიძიოთ ყველა ადამიანის გაქრობა და არა მხოლოდ ერთის. თუმცა, ისევ კეთილი ნების ჟესტის სახით ჩვენ დავთანხმდით, რომ პირველ ეტაპზე, ვთქვათ, დაწყებულიყო გამოძიების პროცესი ბატონ სიგუას, ესეც იყო ჩვენი მხრიდან კეთილი ნება.

და კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც იმ დღეებში მოხდა იყო, რომ ქართული მხარე დათანხმდა კოდორის ხეობის მონიტორინგზე და იმ დღეებში გაერომ დსთ-ს ძალებთან ერთად ჩაატარა კოდორის ხეობის მონიტორინგი და ყველაფერი ეს, მე ვფიქრობ, იყო ჩვენი მხრიდან ძალიან მკაფიო სიგნალები აფხაზურ მხარეს, რომ, თუ ჩვენ ვიწყებთ დიალოგს, არ არსებობს თემა, რომელზეც ჩვენ საბოლოო ჯამში ვერ მოვილაპარაკებთ, იმიტომ, რომ ჩვენ, მზად ვართ, გადმოვდგათ შემხვედრი ნაბიჯები, ჩვენ,მზად ვართ, გამოვავლინოთ კეთილი ნება, ოღონდ ეს ყველაფერი უნდა უკავშირდებოდეს დიალოგს და საბოლოო ჯამში კონფლიქტის მოგვარებას.

აი ესე, მე, უბრალოდ, მოგახსენეთ, რომ რა ნაბიჯი გადაიდგა რუსეთთან მიმართებაში, სადაც შევთავაზეთ მათ დიალოგი და რა ნაბიჯი გადაიდგა უშუალოდ აფხაზებთან და დე ფაქტო ხელისუფლებასთან მიმართებაში. სადაც, ასევე, შევთავაზეთ, ნუ, შემიძლია კიდევ გითხრათ, თუ სურვილი გაქვთ, ვთქვათ, დახურულ რეჟიმში, რომ არსებობდა გარკვეული ტიპის კონტაქტები, ჰუმანიტარულ სფეროში, მაგალითად, რამდენიმე ადამიანს, რომელიც იყო მძიმედ ავადმყოფი აფხაზეთში, ისინი ჩამოყვანილი იქნენ თბილისში, მათ გაუკეთდათ შესაბამისი ოპერაცია, მათი მკურნალობა მოხდა, თუმცა აფხაზური მხარის თხოვნით, როგორც წესი, ასეთ საკითხებს ჩვენ არ ვახმაურებდით, ვინაიდან ეს იწვევდა მაშინვე ცუდ რეაქციას რუსებისგან, ყოველ შემთხვევაში ის, რასაც ჩვენ ვიგებდით, აფხაზური მხარისგან იყო, რომ რუსეთის წინააღმდეგია ნებისმიერი თანამშრომლობის ქართველებს და აფხაზებს შორის, და ამიტომ, მოდით, ასეთი თანამშრომლობის ფაქტები არ გავახმაუროთ. ამიტომ, აქაც როგორც კეთილი ნების ნაბიჯი, ჩვენ რამდენიმე ადამიანს ვუმკურნალეთ ისე, რომ ეს არ გაგვიხმაურებია სახალხოდ, მე ვფიქრობ, აქ თავისთავად დასამალი არაფერი არ არის, და ამ ეტაპზე ამის თქმა უკვე ღიად შეიძლება.

აი ეს გახლდათ ვთქვათ პირველივე ეტაპზე, ანუ, აგვისტო – სექტემბერში კონკრეტული ნაბიჯები, ამის

პარალელურად კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტი გამოდის გაეროში და აფიქსირებს ახალ პაკეტს სამშვიდობო წინადადებების და აფიქსირებს, რომ აუცილებელია დაწყება სამშვიდობო პროცესის გადასინჯვის, ამის პარალელურად, ძალიან აქტიურად მიდის ქართული მხარის სამშვიდობო პოლიტიკა სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში. კერძოდ, ეს ის პერიოდია, როდესაც ოქტომბერში ეუთოში ტარდება მუდმივი საბჭოს სპეციალური სხდომა სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით და იქ ქართული მხარე ასევე, აბსოლუტურად ცალსახად აფიქსირებს, რომ მას უნდა მშვიდობიანი მოგვარება ამ კონფლიქტის და ჩვენ ყველა ის სამშვიდობო გეგმა, რომელიც შევთავაზეთ ძალაშია და ჩვენ, მზად ვართ, მივცეთ ამ რეგიონს კიდევ უფრო მაღალი სტატუსი და ნებისმიერი წუთიდან დავიწყოთ მოლაპარაკებები ამ სტატუსთან დაკავშირებით. ეს ხდება ვენაში, ამის პარალელურად, მე უკვე როგორც სახელმწიფო მინისტრს მაქვს ურთიერთობა, ცხადია, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც, აქაც ქართული მხარის კეთილი ნების სახით, რამდენიმე საკითხის მოგვარებაში დავეხმარეთ, იყო ეს სარწყავი წყლის პრობლემა, რომელიც ტრადიციულად არის ყოველთვის რეგიონში და რომელიც შარშან ზაფხულში პრაქტიკულად მოვხსენით იმის გამო სწორედ, რომ გადავდგით შემხვედრი ნაბიჯები. გარდა ამისა, შემოდგომაზე ძალიან აქტიურად მუშაობდა სტატუსის კომისია გეხსომებათ, ოქტომბერში მოხდა ეუთოს ელჩების ჩაყვანა ქურთაში, დიდი ლიახვის ხეობაში, ანუ, ამ მიმართულებითაც ძალიან აქტიურად ვმუშაობდით. იქამდეც კი, რომ ამავე პერიოდში შემოდგომაზე, ჩვენ დავთანხმდით ჩაგვეტარებინა ეგრეთ წოდებული ესკაკა, ანუ, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა თბილისში.

ეხლა ის, რომ ამ კომისიის ფორმატი იყო უპერსპექტივო, ვინაიდან ეს იყო, პრაქტიკულად, ფორმატი, სადაც ქართული მხარე უპირისპირდებოდა რუსულ, სამხრეთ ოსურ და ჩრდილო ოსურ მხარეებს, ეს თავიდანვე ნათელი იყო. მაგრამ სწორედ იმ მიზნით, რომ დაგვეტოვებინა დიალოგის რესურსი, სწორედ იმ მიზნით, რომ გვეჩვენებინა, რომ ჩვენ, მზად ვართ, ვიმუშაოთ ნემისმიერ ფორმატში, მათ შორის, ყველაზე ცუდ ფორმატშიც კი, მათ შორის, ყველაზე უპერსპექტივო ფორმატშიც კი, ჩვენ დავთანხმდით.

ჩატარდა ამ კომისიის სხდომა თბილისში, სამწუხაროდ, ვერანაირი შედეგით ვერ დასრულდა, საკმაოდ წარმატებული იყო პირველი დღე, შემიძლია გითხრათ და ქართული მხარის ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც ეუთო მთლიანად უჭერდა მხარს, იყო როკის გვირაბის გაკონტროლება და ეუთოს დამკვირვებლების დაყენება დიდი გუფთის ხიდზე და პირველ დღეს, მე მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ ახლოს ვიყავით ამ საკითხზე შეთანხმებასთან, თუმცა ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა, მას შემდეგ რაც როგორც ჩანს, კოკოითმა მიიღო ინფორმაცია მიმდინარე სხდომის შესახებ, შემდეგ იყო სატელეფონო ზარი ჩოჩიევთან, რომელიც იყო წარმომადგენელი და წარმართავდა სხდომას სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან და მან სასწრაფოდ შეწყვიტა სხდომა და გაემგზავრა უკან ცხინვალში. ამიტომ რეალურად სხდომა ვერ დასრულდა, ვერაფერი ვერ მოხდა, თუმცა კიდევ ერთხელ, ეს იყო ჩვენი მხრიდან იმის გამოვლინება, რომ ჩვენ მზად ვიყავით ნებისმიერ ფორმატში, ისეთ არაპოპულარულ ფორმატშიც კი, როგორიც იყო "ესკაკა", გვეძებნა ერთობლივი გამოსავალი. ამავე პერიოდში ხდება ორი ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება, პირველი ეს გახლავთ ის, რომ ქართულმა მხარემ შეათანხმა ევროკავშირთან ნდობის ეგრეთ წოდებული ნდობის გაძლიერების ზომები, კონფლიქტურ რეგიონებში. ეს იყო ძალიან სერიოზული პაკეტი ევროკავშირის უფრო მეტი მონაწილეობის კონფლიქტის ზონებში, აქ იგულისხმებოდა კონფლიქტის ზონების უფრო მეტად გახსნა, იქ მცხოვრები ადამიანებისთვის უფრო მეტი დახმარების შეთავაზება, ვთქვათ, იგივე გადაადგილების თავისუფლების თვალსაზრისით, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრების გახსნა, ანუ ეს იყო მთელი რიგი ნაბიჯებისა, რომელსაც ევროკავშირი აპირებდა განეხორციელებინა კონფლიქტების მოგვარების ეგრეთ წოდებული რბილი პოლიტიკის ფარგლებში, რათა კონფლიქტურ ზონებში მომხდარიყო დაძაბულობის შემცირება და სიტუაციის თანდათანობითი გაუმჯობესება, ქართული მხარე ამას დათანხმდა, ეს ჩემი მინისტრობის პერიოდში გვქონდა მიღწეული შეთანხმება ... და მაშინ ეს ევროკავშირის მხრიდან აბსოლუტურად ცალსახად შეფასდა, როგორც დიდი პოზიტივი და ქართული მხარის მზადყოფნა, რომ არაძალისმიერი, არამედ სწორედ ესეთი რბილი და ტრანსფორმაციული მეთოდებით მომხდარიყო კონფლიქტის მოგვარება. და მეორე ძალიან მნიშვნელოვანი თემა გახლდათ ცხინვალის რეგიონში ეუთოს სამხედრო დამკვირვებლების რაოდენობის გაზრდა. შარშან ეს საკითხი მთელი შემოდგომის განმავლობაში იდგა დღის წესრიგში, ძალიან აქტიური კონსულტაციები გვქონდა, ქართული მხარე იჩენდა აბსოლუტურად მაქსიმალურ მოქნილობას, რაც შეიძლებოდა ამ საკითხში გამოგვეჩინა, თუმცა ,სამწუხაროდ, საბოლოო ჯამში საკითხი მაინც ჩავარდა რუსეთის მხარის პოზიციის გამო. მოკლედ რომ მოგახსენოთ, რუსული მხარის პოზიცია იყო, რომ ეუთოს სამხედრო დამკვირვებლები უნდა განლაგებულიყვნენ გორში, ვინაიდან რუსული მხარის მტკიცებით საფრთხე იყო სწორედ სამხრეთში, მაშინ როდესაც ჩვენი პოზიცია და ეუთოს პოზიცია იყო ,რომ ძირითადი პრობლემა რეგიონში იყო როკის გვირაბის უკონტროლობა და ამიტომ დამკვირვებლები ან მათი ნაწილი მაინც როგორც მინიმუმ უნდა განლაგებულიყვნენ როკის გვირაბის მისადგომებში, უნდა გაეკონტროლებინათ დიდი გუფთის ხიდი, რომ რეგიონში არ მომხდარიყო უკონტროლო შეიარაღების შემოტანა ჩრდილოეთიდან. აი ამაზე ,სამწუხაროდ, რუსეთი არ წამოვიდა არანაირ კომპრომისზე და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ინტენსიურად ვმუშაობდით აქაც, ძალიან ინტენსიური მუშაობა მიდიოდა ვენაშიც ამ საკითხზე, კომპრომისი ვერ

შედგა, ანუ ეს იყო კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სამშვიდობო ნაბიჯი,

ვითარების განმუხტვის ნაბიჯი, რომელიც ასევე ვერ შედგა რუსული მხარის წინააღმდეგობის გამო. ნუ, ამავე ოქტომბერში ვახსენებ ასევე ნატოს 26+1 ფორმატის სპეციალურ შეხვედრას ნატო - საქართველოსი, რომელიც ეძღვნებოდა კონკრეტულად კონფლიქტების თემას. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ნატოში ჩატარდა ღია მოსმენა კონფლიქტებთან დაკავშირებით, ნატოს პლუს საქართველოს ფორმატით. ამ სხდომაზეც მე ვიყავი მიწვეული და ამ სხდომაზე კიდევ ერთხელ მე, როგორც მინისტრმა, ოფიციალურად დავაფიქსირე და ავიღე ვალდებულება, რომ ქართული მხარე მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაჭრიდა კონფლიქტებს. აი ეს იყო შარშანდელი შემოდგომის დინამიკა. შემდეგ, სამწუხაროდ, თბილისში ნოემბრის მოვლენების და პოლიტიკური ვითარების დაძაბვის გამო გარკვეულწილად მოხდა კონფლიქტების პრობლემატიკის ოდნავ უკანა პლანზე გადასვლა, ვინაიდან, გახსოვთ, რომ იმ პერიოდში ძირითადი აქცენტი იყო სწორედ შიდაპოლიტიკურ პროცესებზე. თუმცა, აქაც უნდა ვთქვა, რომ 2007 წლის ბოლოს გაეროში რეალურად დაიძრა სამშვიდობო პროცესის გადასინჯვის ინიციატივა, რომლითაც პრეზიდენტი გამოვიდა 2007 წლის სექტემბერში გაეროს უშიშროების საბჭოში. შემდეგ, ოქტომბერში იყო ჩემი ვიზიტი ნიუ-იორკში, სადაც, სხვათა შორის, ასევე სრულიად ხაზგასმით გვქონდა შეხვედრა რუსეთის ელჩთან ბატონ ჩურკინთან და მასთანაც მქონდა სწორედ დიალოგის შეთავაზების და კომუნიკაციის დამყარების მცდელობა, სამწუხაროდ, ასევე უშედეგო მცდელობა და აი ამ ვიზიტის დროს კიდევ ერთხელ იქნა გაგრძელებული ამ გადასინჯვის თემა და დეკემბრიდან უკვე რეალურად გაერომ დაიწყო სამშვიდობო პროცესის გადასინჯვა, გამოიყო გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც შემდეგ რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში. ეს იყო რაც შეეხებოდა 2007 წელს.

რაც შეეხება 2008 წელს. 2008 წელს მე უკვე ვიყავი საგარეო საქმეთა მინისტრის ფუნქციით, 2008 წლის იანვრის ბოლოდან, იანვრის განმავლობაში მე უკვე თანამდებობა აღარ მეკავა, ვინაიდან დეკემბერში საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ მე ვიყავი მაშინდელი პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის სპიკერი, მე გადავდექი თანამდებობიდან. ეს პერიოდი ვიყავი ოფიციალური თანამდებობის გარეშე, ხოლო იანვრის ბოლოს შემდეგ დავინიშნე საგარეო საქმეთა მინისტრად.

რაც შეეხება იანვრის ბოლოს, კიდევ ერთხელ დავიწყებ რუსეთთან დიალოგის და კომუნიკაციის მცდელობიდან. პირველი, რაც მე გავაკეთე საგარეო საქმეთა მინისტრად პარლამენტში დამტკიცების შემდეგ, მაშინვე, როგორც კი პარლამენტიდან მივბრუნდი სამინისტროში ჩემს კაბინეტში, პირველი ზარი იყო ზარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბატონ ლავროვთან, რომელსაც მე ვესაუბრე და რომელსაც შევთავაზე ბოლოს და ბოლოს დაგვეწყო, რეალურად დაგვეწყო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ფიქრი, რეალურად დაგვეწყო კონფლიქტების მოგვარებაზე ფიქრი, რეალურად მოგვესმინა რუსეთის მხარისგან, რა უნდა რუსეთს საქართველოსგან, ვინაიდან, ახლა, შეიძლება ცოტა გასაკვირი იყოს ფართო აუდიტორიისთვის, მაგრამ რეალურად, გაწერილად, მწყობრად, ჩვენ არასდროს რუსული მხარისგან არ მოგვისმენია, რა პრეტენზია აქვს რუსეთს საქართველოს მხრიდან და რა უნდა რუსეთს, რის გამოც ის ესეთი მტრულად განწყობილია ჩვენი ქვეყნის მიმართ. ანუ ეს იყო შეთავაზება, რომ მკაფიოდ ჩამოეყალიბებინათ თავიანთი პოლიტიკა, მკაფიოდ ჩამოეყალიბებინათ ხედვა და დაგვეწყო მოლაპარაკებები, სად შეიძლება მოგვეძებნა შეხების წერტილი აი, ამ ორ მკაფიო პოლიტიკას შორის. ჩვენი პოლიტიკა რუსეთთან მიმართ იყო აბსოლუტურად მკაფიო და ყოვეთვის ვუხსნიდით, რომ ჩვენ გვაქვს სამი ძირითადი ინტერესი. ეს არის ჩვენი სუვერენიტეტი, ეს არის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და ეს არის ჩვენი თავისუფალი არჩევანის უფლება. ანუ ქართველი ხალხი ირჩევს მთავრობას და ქართველი ხალხი ირჩევს,შევა ის ნატოში თუ რომელიმე სხვა ორგანიზაციაში. ანუ ნუ შეგვიზღუდავთ თავისუფალ არჩევანს, პატივი ეცით ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და ნუ დაემუქრებით ჩვენს სუვერენიტეტს. აი, ეს სამი, წითელი ხაზი აქვს, ეს არის ძალიან მარტივი პოლიტიკა, მე ვფიქრობ, ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ეს სამი მომენტი არის წითელი ხაზი სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და არჩევნები. ამიტომ ჩვენი პოლიტიკა იყო ყოველთვის ძალიან მკაფიო და მარტივი რუსეთის მიმართ. მაშინ როდესაც მათი მხრიდან ასეთი სიზუსტით არასდროს არ ყოფილა ჩამოთვლილი, რა უნდა და რას ელოდება რუსეთი საქართველოსგან. ამიტომ ჩემი ერთ–ერთი შეთავაზება ბატონ ლავროვთან სწორედ ეს იყო. ამ პერიოდში უკვე იგეგმებოდა საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა და მე მაშინ ბატონ ლავროვს შევთავაზე ასეთი სქემა. მოდით, ბოლოს და ბოლოს მივაღწიოთ იმას, რომ შეხვედრა იყოს კონსტრუქციული, შეხვედრა იყოს ნორმალური და ჩვენ საგარეო საქმეთა მინისტრებმა ავიღოთ ამაზე პასუხისმგებლობა. მე ვუთხარი, რომ მე მზად ვარ პირადად როცა იტყვით, გნებავთ, მოსკოვში ჩამოვიდე, გნებავთ, სხვაგან ნებისმიერ ადგილას შევხვდეთ ერთმანეთს, გავიაროთ ყველა ის საკითხი, რომელიც რთულია და მოვუმზადოთ პრეზიდენტებს საფუძველი, რომ შემდეგ უკვე პრეზიდენტებმა მიაღწიონ გადაწყვეტილებას და შეთანხმებას ამ საკითხებზე. ნუ მან ძალიან დიპლომატიურად აირიდა თავიდან ასეთი შეთავაზება, თან ისე, რომ შეეცადა ჩემთვის გადმოებრალებინა, მითხრა, რომ თქვენ ახალი დანიშნული ხართ თანამდებობაზე და ,ალბათ, დრო დაგჭირდებათ, რომ ამ სქემებში გაერკვეთ და ამიტომ ეხლა ვერ შევხვდებითო. მე ვუთხარი, რომ დრო არ მჭირდება და ჩათვალეთ, რომ აი, დღეს საღამოდან დაწყებული ნებისმიერ დროს მზად ვარ შეგხვდეთ–მეთქი. შემდეგ შევთავაზე მეორე სქემა, რომ ჯერ შეხვდებოდნენ ჩვენი მოადგილეები, შემდეგ შევხვდებოდით ჩვენ და აი, ამ ორი შეხვედრის შედეგად მოვამზადებდით პრეზიდენტების შეხვედრის დღის წესრიგს. ნუ, მოადგილეების

ფორმატზე ბატონი ლავროვი დამთანხმდა. სამწუხაროდ, ჩემი შეხვედრა მასთან არ შედგა, თუმცა მოადგილეების შეხვედრა შედგა. 15 თებერვალს იყო კონსულტაციები მოსკოვში, სადაც ორი მოადგილე ჩემი, ბატონი ვაშაძე და ბატონი ნიკოლოზ ვაშაკიძე გაემგზავრნენ მოსკოვში. ჰქონდათ კონსულტაციები საგარეო საქმეთა სამინისტროში ბატონ კარასინთან ძირითადად ისევ თუმცა, სამწუხაროდ, ისევ უშედეგოდ დასრულდა. ვინაიდან ეს იყო ტიპიური ასეთი დიპლომატიური დაპირისპირების მატარებელი შეხვედრა, რის გამოც სწორედ მე ვთავაზობდი ბატონ ლავროვს, რომ მინისტრების დონეზე გვქონოდა შეხვედრა. ვინაიდან არის თემები,რომელიც შეიძლება ვერ მოგვარდეს მოადგილეების დონეზე, მაგრამ მინისტრების დონეზე ამ თემებს მოგვარების პერსპექტივა აქვს.

გარდა ამისა, ანუ აი, ეს პრეზიდენტების შეხვედრის სქემა, სამწუხაროდ, ჩაიშალა და მე ვთვლი, რომ ეს იყო რუსეთის მხრიდან ძალიან ცუდი ნაბიჯი, ვინაიდან, მომზადების შემთხვევაში, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში რუსეთის მხრიდან, იყო შანსი, რომ აი ეს 21 თებერვლის შეხვედრა, რომელიც შემდეგ, მოსკოვში შედგა, დსთ–ს არაოფიციალური სამიტის ფარგლებში ყოფილიყო მართლაც, პოზიტივის მომტანი და არა, ვთქვათ, ნეგატივის, როგორც საბოლოო ჯამში გამოჩნდა. გარდა ამისა, კიდევ როგორც, დამატებითი ნაბიჯი და ჟესტი რუსეთის მიმართ, სამინისტროში ჩემი მისვლის შემდეგ აღდგა რუსეთის დეპარტამენტი, როგორც ცალკე დეპარტამენტი, მანამდე ის შედიოდა დსთ–ს დეპარტამენტში და ჩვენი მხრიდან, ეს იყო ასევე ჟესტი, რომლითაც ჩვენ ვაჩვენეთ რუსეთს, რომ ჩვენ მზად ვართ, რუსეთთან ურთიერთობები განვიხილოთ ძალიან სერიოზულად და ამის გამო, ვთქვათ, ცალკე დეპარტამენტი შევქმენით, აღვადგინეთ, უფრო სწორად, სამინისტროში და გარდა ამისა, ამ პერიოდის განმავლობაში, მე ვცდილობდი, ასევე ძალიან აქტიური ურთიერთობების დამყარებას რუსეთის ელჩთან საქართველოში, თუმცა, სამწუხაროდ, მინდა გითხრათ, რომ არც ერთმა მცდელობამ რეალური შედეგი არ გამოიღო, ერთადერთი მიზეზის გამო, რუსული მხარე არ იყო მზად რაიმე სახის თანამშრომლობაზე საქართველოსთან ისევე, როგორც ჩვენ არ ვიყავით მზად და არ ვიქნებით მზად დავთმოთ აი ამ სამ ძირითად საკითხზე, რომელიც მე ვახსენე. ჩვენ ვერ დავთმობთ იქ, სადაც შეეხება ჩვენს სუვერენიტეტს, ჩვენ ვერ დავთმობთ ტერიტორიულ მთლიანობას და ვერ დავთმობთ ჩვენი თავისუფალი არჩევანის უფლებას. აი ეს სამი მკაფიო წითელი ხაზი ქართულ მხარეს და,ყოველ შემთხვევაში, ამ ხელისუფლებას, ნამდვილად ბოლომდე ექნება. ჩვენ ამის დასათმობად არასდროს მზად არ ვიქნებით. როგორც ჩანს, რუსეთის მხარეც არ იყო მზად იმისთვის, რომ ამის გათვალისწინებით საქართველოს სუვერენიტეტის დაცვით და ტერიტორიული მთლიანობის დაცვით გადმოედგა ნაბიჯები ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ და, სამწუხაროდ, ყველა ამ მცდელობამ რეალური შედეგი ვერ მოიტანა. ამის შემდეგ იწყება მთელი ციკლი ძალიან მტრული ნაბიჯებისა,არამეგობრული ნაბიჯებისა რუსეთის მხრიდან. ეს არის, თებერვლიდან პრაქტიკულად, აგვისტომდე. ზედიზედ მოხდა, 6 მარტს იყო დსთ–დან გამოსვლა, შემდეგ 21 მარტს იყო რუსეთის სათათბიროს ძალიან აგრესიული განცხადება. 3 აპრილს იყო რუსეთის პრეზიდენტის წერილი, რომლითაც ის სეპარატისტებს ღია საგნობრივ მხარდაჭერას დაჰპირდა. 8 აპრილს იყო იუსტიციის მინისტრის წერილი, რომლითაც უკვე პირდაპირ ურთიერთობებს სთავაზობდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებებს. 16 აპრილს იყო პრეზიდენტის განკარგულება პირდაპირი ურთიერთობების შესახებ. 20 აპრილს ჩამოაგდეს ქართული, შინაგან საქმეთა სამინისტროს უპილოტო აპარატი. 29 აპრილს გაზარდა რუსეთმა კონტინგენტი აფხაზეთში, ვითომ სამშვიდობო კონტინგენტის მოტივაციით. 8 მაისს, თავდაცვის სამინისტრო რუსეთის,აკეთებს განცხადებას, რომ ის აუცილებლობის შემთხვევაში გაზრდის თავისი სამხედროების რაოდენობას კონფლიქტის ზონებში და ის არ მოერიდება ძალის გამოყენებას, მათ შორის, არასამშვიდობო კონტინგენტის მონაწილეობით ძალის გამოყენებას, თუ ეს აუცილებელი გახდა რუსი სამშვიდობოების ინტერესებისთვის.შემდეგ, ასევე, მაისის ბოლოს, 31–ში, ხდება სარკინიგზო ჯარების შეყვანა, 9 ივლისი არის მომენტი, როდესაც მანამდე ასეთი დარღვევით გადამფრენი რუსეთის თვითმფრინავები პირველად აღიარა რუსეთმა, რომ სწორედ მისი თვითმფრინავები იმყოფებოდნენ საქართველოს საჰაერო სივრცეში. ამის პარალელურად მიდის სამხედრო წვრთნები, ამის პარალელურად არის მუდმივი აფეთქებების და დესტაბილიზაციის სერია. ანუ, ბოდიშს ვიხდი, რომ ასე დეტალურად აღვწერე ეს ყველაფერი, უბრალოდ, ეს არის ქრონოლოგია, რომელიც ძალიან მკაფიოდ აჩვენებს მოვლენების განვითარებას. მე დავიწყე თებერვლიდან, როდესაც მე შევთავაზე საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ურთიერთობები დაგველაგებინა, მოგვეხდინა ნორმალიზება და გამოგვეყენებინა პრეზიდენტის შეხვედრა. რუსებმა ამ შანსზე უარი თქვეს და რატომ თქვეს უარი გამოჩნდა უკვე დაწყებული მარტიდან, როდესაც მათ დაიწყეს ამ ნაბიჯების გადადგმა. ეს იყო მთელი კასკადი ნაბიჯების, რომელმაც მკვეთრად დაძაბა და გააუარესა სიტუაცია კონფლიქტის ზონებში.

რას აკეთებს ამ დროს საგარეო საქმეთა სამინისტრო? მე შემიძლია გითხრათ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ პერიოდში მუშაობდა, პრაქტიკულად, 24–საათიან რეჟიმში, პრაქტიკულად, ონლაინრეჟიმში ვმუშაობდით ჩვენ უცხოელ პარტნიორებთან. შეგიძლიათ გამოითხოვოთ, ნახოთ, რომ ყოველ, რამდენიმე დღეში, ყოველ 2–3 დღეში ერთხელ ყველა ჩვენს საელჩოში მიდიოდა დეტალური ინსტრუქცია, ინფორმაცია, რა მოხდა, დეტალური ინსტრუქცია, რა უნდა გაეკეთებინათ და მოთხოვნა, მობრძანებულიყვნენ თავიანთი მიმღები სახელმწიფოს, არამხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროში, პარლამენტში, სხვა უწყებებში, ჟურნალისტებთან, ჩაეტარებინათ კონსულტაციები და შემდეგ ელჩებს გადმოეგზავნათ უკან ანგარიში ვინ რა გააკეთა, ვინ ვის შეხვდა.

ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ იმ პერიოდში, რომ განსხვავებით ზოგადი პრაქტიკისგან, როდესაც საგარეო საქმეთა

სამინისტრო, უბრალოდ, აგზავნის ინსტრუქციას საელჩოში, მოგვეთხოვა კონკრეტულად, მიგვეცა კონკრეტული ვადა გამომდინარე სიტუაციის სიმწვავიდან, რომ ეს ინსტრუქციები გადაცემულიყო კონკრეტულ ვადაში, რომ ეს მომხდარიყო სწრაფად და მოგვეთხოვა ელჩებისგან უკუინფორმაცია, ვის შეხვდნენ და რა გააკეთეს. და, სხვათა შორის, ამისი ანგარიშებიც, ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებობს სხვადასხვა საელჩოებიდან მოსული, თუ ჩვენი გაგზავნილი ინსტრუქციების შესაბამისად, რომელი ელჩი ვის შეხვდა, რა შეხვედრები იყო და რა შედეგები მოიტანა ამ შეხვედრებმა.

ამავე პერიოდში უკვე ჩვენი ძირითადი სიგნალი და მესიჯი, ჩვენი დიპლომატიის, ხდება ის, რომ რუსეთი რეალურად იწყებს კონფლიქტის ზონებში ვითარების გამწვავებას, რომ რუსეთი რეალურად იწყებს ნაბიჯების გადადგმას, რომელიც თვისობრივად ცვლის სიტუაციას კონფლიქტის ზონებში და რუსეთი იწყებს რეალურად ნაბიჯების გადადგმას, რომლითაც ის ძალიან სახიფათოდ უახლოვდება წითელ ხაზებს და მე დავუბრუნდები შეკითხვას წითელ ხაზებთან დაკავშირებით, რომელიც იქნა დასმული. ჩვენი ძირითადი მესიჯი იყო სწორედ, ეს და ჩვენი ძირითადი სიგნალი იყო, დაგვეხმარეთ, გავაჩეროთ ეს პროცესი დღეს, ვინაიდან ხვალ შეიძლება ეს პროცესი ვეღარ გაჩერდეს. დინამიკა არის ძალიან ცუდი, რუსეთი მუდმივად აუარესებს და იღებს ახალ–ახალ, უფრო და უფრო უარეს გადაწყვეტილებებს და ეს ცუდი დინამიკა ბოლოს და ბოლოს მიგვიყვანს კატასტროფამდე, ამიტომ დაგვეხმარეთ დღეს აქტიურად გააჩერეთ რუსეთი იმისთვის, რომ ხვალ თავიდან ავიცილოთ უარესი. იმიტომ, რომ რუსეთი ამ ნაბიჯების შედეგად თვისობრივად ცვლის ვითარებას კონფლიქტის ზონებში. აი, დაწყებული უკვე დაახლოებით მარტიდან ეს იყო ძირითადი მესიჯი ჩვენი დიპლომატიის, რომელსად ჩვენ ყველა შესაძლო საშუალებით და ყველა შესაძლო რესურსით ვაწოდებდით ჩვენს პარტნიორებს.

გარდა ამისა, ამის პარალელურად, ამ ვითარების გაუარესების პარალელურად, რას აკეთებს ქართული მხარე? არანაირი აგრესიული ნაბიჯები, არანაირი მტრული ნაბიჯები, არანაირი სამხედრო რიტორიკა – პირიქით, 28 მარტს და 12 აპრილს საქართველოს პრეზიდენტი გამოდის დამატებითი სამშვიდობო ინიციატივებით. და ეს არის სამშვიდობო ინიციატივები, რომელიც ითვალისწინებს მართლაც, უპრეცედენტოთ ფართო პოლიტიკურ უფლებებს და როდესაც დღემდე მე ჩვენს ევროპელ კოლეგებს, პარტნიორებს ვეუბნები, რომ მაგალითისთვის ჩვენ შევთავაზეთ აფხაზებს, რომ ვეტოს უფლება ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე, რომელიც ეხება სტატუსს. საერთაშორისო გარანტიები მათი სტატუსის, ვიცე–პრეზიდენტის შემოღება ამ რეგიონის წარმომადგენლისთვის, ყველა ქვეყნის წარმოადგენელი, მათ შორის, ტრადიციულად, ისეთი, ძალიან ძლიერი ფედერალური კულტურის, ფედერალიზმის კულტურის ქვეყნების წარმომადგენლებისთვის, როგორიც, მაგალითისთვის, ბელგიაა, ყველა გვეუბნება, რომ ეს არის ძალიან სერიოზული შეთავაზებების პაკეტი, ძალიან მაღალი დონის შეთავაზებების პაკეტი. მაშინ, გახსოვთ, რომ, სამწუხაროდ, ამ პაკეტზე მივიღეთ უარი და პირველი უარი იყო მოსკოვიდან, სადაც იმ მომენტში გამოძახებული ბრძანდებოდნენ ბატონი ბაღაფშიც და ბატონი კოკოითიც და ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარეს მოსკოვში სწორედ ერთ–ერთი საინფორმაციო სააგენტოს ოფისში ანუ უარი ჩამოვიდა მოსკოვიდან.

მაგრამ, მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ქართული მხარის რეაქცია ყველა ამ პროვოკაციაზე ყველა ამ მტრულ ნაბიჯზე იყო არა აყოლა პროვოკაციებში, არამედ პირიქით, ახალი სამშვიდობო ინიციატივებით გამოსვლა და მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მარტიდან უკვე ჩემი მინისტრობის პერიოდში იწყება ძალიან რეალური კონსულტაციები ახალ სამშვიდობო ფორმატზე. იწყება უკვე ძალიან რეალური მუშაობა გაეროში გადახედვის პროცესთან დაკავშირებით. ეს ის პერიოდია, როდესაც ჩამოდის უკვე გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელი. მას აქვს შეხვედრები, რათა გააკეთოს პირველადი შეფასება და ამის საფუძველზე გაერომ მოამზადოს რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიცვალოს სამშვიდობო ოპერაცია და აქაც ჩვენი ძირითადი მესიჯი არის, რომ უნდა მოხდეს ჩანაცვლება, უნდა მოხდეს ინტერნაციონალიზაცია, ვინაიდან არსებული სამშვიდობოები ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას.

შემდეგ მოჰყვა 20 აპრილის ინციდენტი, როგორც უკვე გითხარით, როდესაც ქართული უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს. ამან კიდევ ერთხელ ძალიან გაამწვავა ურთიერთობები საქართველოს და რუსეთს შორის. დიპლომატიური თვალსაზრისით, ეს იყო ძალიან აქტიური პერიოდი. მაგალითი შემიძლია გითხრათ, რომ ეუთოში ქართული მხარის მოთხოვნით, ავამუშავეთ ე.წ. ვენის და ბუქარესტის მექანიზმები. ეს არის კრიზისების მოგვარების მექანიზმები, რომელიც ძალიან იშვიათად გამოიყენება ეუთოს პრაქტიკაში და აი, ამ ინციდენტის შედეგად, ეს ამუშავდა. ჩვენ მოვითხოვეთ გაეროს გენერალური, გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა, 23 აპრილს. მე ვიყავი ჩასული ნიუ–იორკში, სადაც მონაწილეობას ვიღებდი უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაში, და ესეც იშვიათი ფაქტია, როდესაც იმართება არაწევრი ქვეყნის მოთხოვნით, უშიშროების საბჭოს არაწევრი ქვეყნის მოთხოვნით იმართება უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა, ეს იყო 23 აპრილს. ნიუ–იორკიდან უკან გზაზე, ნატოში ჩატარდა სპეციალური საკითხი, სპეციალური სხდომა ამავე თემაზე, ისევ 26+1–ის, ნატო+ საქართველოს ფორმატით და ნიუ–იორკიდან უკან გზაზე მე ვიყავი ბრიუსელში, სადაც უკვე

ნატოში გვქონდა ამ საკითხის განხილვა ბრიუსელს და თბილისს შორის. ასევე ნახევარი დღით ვიყავი გერმანიაში, სადაც უკვე გერმანულ მხარესთან, გერმანიის საგარეო მინისტრთან მქონდა ამ თემების განხილვა, ამიტომ ყველა ჩვენმა პარტნიორმა აბსოლუტურად ღიად იცოდა, რა ხდებოდა. მათ ჰქონდათ სრული ინფორმაცია და მათი აბსოლუტური უმრავლესობა იზიარებდა იმ შეშფოთებებს, რომელსაც ჩვენ ვუზიარებდით, ჩვენ ვაცნობდით, რომ რუსეთს მიჰყავდა პროცესები ძალიან ცუდი მიმართულებით.

ამის შემდეგ, მე ბევრს აღარ გავაგრძელებ, უკვე დაწყებული ამ პერიოდიდან, დაახლოებით აპრილის ბოლოდან, უკვე მე წამოვედი საგარეო საქმეთა მინისტრობიდან, შემდეგ იყო საარჩევნო კამპანია.

რაც შეეხება პარლამენტში ჩემი ყოფნის პერიოდს, ამ პერიოდშიც რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ეს იყო ბატონ შტაინმაიერის ვიზიტი, ეს იყო ბატონ სოლანას ვიზიტი, ეს, პრაქტიკულად, უკვე მიღწეული შეთანხმება, რომ ევროკავშირი გამოდიოდა ახალი გეგმით და ხდებოდა კონფლიქტების მოგვარების ინტერნაციონალიზაცია და ამ ყველაფერს შემდეგ მოჰყვა აგვისტოს მოვლენები. მე ბოდიშს ვიხდი, რომ ასე დეტალებში მოვყევი 1 წლის ქრონოლოგია, მაგრამ, იმიტომ...

თავმჯდომარე. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ბატონო დავით, ამ დროს, ყველაზე დიდი ინფორმაციის მატარებელი ამ სიტუაციაში, თქვენ ბრძანდებით და დიდი მადლობა ამისათვის, რომ დეტალურად მოგვახსენეთ.

დ.ბაქრაძე. გმადლობთ. მე ვფიქრობ, სტენოგრამისთვის მნიშვნელოვანია დაფიქსირდეს, რომ მთელი ბოლო 1 წლის განმავლობაში, მანამდეც, მაგრამ მე გიყვებით იმ პერიოდს, როდესაც მე ვიყავი ამ ყველაფერში ჩართული. მთელი ბოლო 1 წლის განმავლობაში ქართული მხარე მუდმივად მუშაობდა რუსეთის ფედერაციასთან, რომ მოგვეძებნა საერთო ენა და თავიდან აგვეცილებინა ასეთი ხარისხის დაპირისპირება, რომ ჩვენ მუდმივად ვმუშაობდით სეპარატისტული რეჟიმების წარმომადგენლებთან, რათა ორმხრივ საფუძველზე მოგვეხერხებინა სიტუაციის ნორმალიზება. ჩვენ მუდმივად ვმუშაობდით საერთაშორისო თანამეგობრობასთან და მუდმივად ვაფრთხილებდით მათ საფრთხეების და პრობლემების შესახებ, ამიტომ მე შემიძლია აბსოლუტურად გულწრფელად მოგახსენოთ კომისიის წევრებს ჩემი აზრი, რომ ქართულმა მხარემ მართლაც ყველაფერი გააკეთა, რათა მოვლენები არ განვითარებულიყო ისე, როგორც განვითარდა აგვისტოში.

და ამ ყველაფრიდან გამომდინარე მე დაუბრუნდები ჩემს საწყის შეფასებას, რომ ის, რაც მოხდა აგვისტოში, იყო არა რუსული მხარის რეაგირება ქართული მხარის ნაბიჯზე, არამედ ლოგიკური გაგრძელება მთელი იმ პოლიტიკის, რომელსაც რუსეთის ფედერაცია აწარმოებდა წინა პერიოდის განმავლობაში. აი ეს არის ქრონოლოგია.

რაც შეეხება კონკრეტულ შეკითხვებს კიდევ, ძალიან მოკლედ დავამატებ წითელ ხაზთან, დაკავშირებით. დიახ, ჩვენ ვაფიქსირებდით, რომ საქართველოს ისევე, როგორც ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს გარკვეული წითელი ხაზები, ანუ ეს არის ქმედება, რომელსაც ჩვენ, როგორც სახელმწიფო ვეღარ მოვითმენთ და ამის თაობაზე ჩვენ გვქონდა სრულიად ღია კონსულტაციები ჩვენ დასავლელ კოლეგებთან.

მე შემიძლია გითხრათ, რა იყო, რასაც ჩვენ ვეუბნებოდით, როგორც წითელი ხაზი. პირველი. ეს გახლდათ მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დარბევა, ჩვენ აბსოლუტურად ღიად ვამბობდით, რომ თუ მოხდება მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დარბევა, იქნება ეს გალში, იქნება ეს დიდი ლიახვის ხეობაში, თუ ნებისმიერ სხვა რეგიონში, ჩვენ, როგორც ხელისუფლება, ვერ ვუყურებთ გულხელდაკრეფილი, როგორ ხოცავენ ჩვენ მოქალაქეებს. ამიტომ, მოსახლეობის დარბევა არის ის წითელი ხაზი, რომელზეც ჩვენ იძულებული ვიქნებით, პასუხი გავცეთ. რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია, ჩვენ აბსოლუტურად ღიად ვეუბნებოდით, რომ თუ იქნება რუსეთის მხრიდან ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია, ჩვენ, როგორც ხელისუფლება, ვერ ვისხდებით გულხელდაკრეფილი და ვერ ვუყურებთ, როგორ იპყრობს რუსეთი საქართველოს. ჩვენ იძულებული ვიქნებით, პასუხი გავცეთ ან ვეცადოთ პასუხი გავცეთ. და რუსეთის სამხედრო გრძელვადიანი სამხედრო ყოფნის პროცესის დაწყება კონფლიქტურ ზონებში, ანუ, იმ პერიოდში, ასეთი ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია, მაინც ცოტა ნაკლებად ალბათური იყო, სავარაუდოდ, უფრო მაღალი ალბათობა იყო, რომ რუსეთი დაიწყებდა გრძელვადიანი სამხედრო ყოფნის განმტკიცებას კონფლიქტურ ზონებში, ანუ, ეგრეთ წოდებულ სამხედრო "ბილდაფს" ეს ინგლისური ტერმინია, ანუ, მუდმივ სამხედრო ყოფნას, ანუ, რაოდენობის გაზრდას, ვთქვათ, ფორტიფიკაციების გაკეთებას, ტექნიკის შეყვანას და ასე შემდეგ, რომ ნელ–ნელა მომხდარიყო რუსული სამხედროების ინფილტრაცია კონფლიქტურ ზონებში და მართლაც გადაექციათ კონფლიქტური ზონები კვიპროსად, როგორც ამის თაობაზე ერთხელ იყო დაპირება. ამიტომ, ესეც

დაფიქსირებული გვქონდა, რომ თუ რუსეთი ამ პროცესს გააგრძელებს, ჩვენ ასევე იძულებული ვიქნებით, მივიღოთ ნაბიჯები. ამიტომ, ეს წითელი ხაზები არსებობდა, ამის თაობაზე ჩვენ ვესაუბრებოდით ჩვენს პარტნიორებს, როგორც ევროპაში, ასე ამერიკის შეერთებულ შტატებში, და მე ვფიქრობ, არც ერთი ქვეყნისთვის არ უნდა იყოს მოულოდნელი, რომ ხელისუფლება და მთავრობა აცხადებს, რომ ის რეაგირებას მოახდენს მისი მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევაზე და ის რეაგირებას მოახდენს მისი სახელმწიფო საზღვრის დარღვევაზე და ინტერვენციაზე. ამიტომ არაბუნებრივი და არალოგიკური აქ ნამდვილად არაფერი იყო, და მე ვერ გეტყვით, რომ რომელიმე ჩვენი პარტნიორის მხრიდან იყო კამათი, რომ არა, ეს წითელი ხაზი არ უნდა იყოს. ყველას მხრიდან იყო ამ კონკრეტულ წითელ ხაზებთან დაკავშირებით გაგება, რომ გვესმის, გეთანხმებით, მაგრამ აქვე იყო გაფრთხილება, რომ იყავით ფრთხილად, ხედავთ, რომ რუსეთი იქცევა ძალიან პროვოკაციულად, რუსეთი იქცევა ძალიან გამომწვევად და იყავით ფრთხილად, ერთად შევეცადოთ, რომ ეს ყველაფერი არ მოხდეს. ამიტომ, როდესაც საუბარი არის, რომ გვაფრთხილებდნენ თუ არ გვაფრთხილებდნენ, მე შემიძლია გითხრათ, რომ გვაფრთხილებდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი იქცევა პროვოკაციულად, რუსეთის მიზანია სიტუაციის ფართომასშტაბიანი დესტაბილიზირება და იყავით ფრთხილად, მაქსიმალურად შეეცადეთ ამას არ წამოეგოთ. და მე ჩამოგითვალეთ გრძელი ჯაჭვი რუსული პროვოკაციების, რომლისთვისაც ქართულ მხარეს ნამდვილად არ უპასუხია, და პირიქით, ჩვენ გამოვედით დამატებითი სამშვიდობო წინადადებებით, რითაც გავეცით პასუხი ამ პროვოკაციებს.

მაგრამ რა მოხდა აგვისტოში, და ესეც კითხვა იყო, აგვისტოში მოხდა ის, რომ ერთდროულად მოიყარა თავი რამდენიმე ფაქტორმა ანუ 7 აგვისტოს ერთდროულად გამოჩნდა, რომ ორი წითელი ხაზი იყო გადაკვეთილი. 7 აგვისტოს გამოჩნდა, რომ დაიწყო ჩვენი მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დაწიოკება ანუ ეს იყო უკვე მძიმეკალიბრიანი საარტილერიო იარაღით დაბომბვა და იქ, რეგიონში ე.წ. ჩრდილოკავკასიელი და კაზაკი მოხალისეების შემოყვანა იყო იმის ნიშანი, რომ მზადდებოდა ეთნიკური წმენდა და ადგილობრივ მოსახლეობას ემუქრებოდა მყისიერი და უშუალო საფრთხე. და მეორე წითელი ხაზი იყო, რომ იმავე 7 აგვისტოს უკვე საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო ინფორმაცია, რომ რუსული ჯარის დიდი კოლონა შემოდიოდა საქართველოს ტერიტორიაზე ანუ ერთდროულად მოხდა ორი მოვლენა: მშვიდობიანი მოსახლეობის დაწიოკება, მათი ფართომასშტაბიანი დარბევის რეალური საფრთხე და საქართველოს ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით რუსული ჯარის შემოყვანა. აი ამ ორი ფაქტორის კომბინაცია იყო სწორედ ის, რაზეც პასუხის არგაცემა უკვე არაფრით არ შეიძლებოდა, ვინაიდან ეს ნიშნავდა შვიდშივე ჩვენ თვალწინ ჩვენი თანხმობის, ჩვენი ჩუმი თანხმობის და უმოქმედობის პრობებში ადგილზე ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის დაწყებას და საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფას. ამიტომ აი ეს იყო განსხვავება, რომელიც იყო, ვთქვათ, ამ აგვისტოში.

შტაინმაიერის გეგმას რაც შეეხება, შტაინმაიერის გეგმა ვერ შესრულდა. მე მინდა გითხრათ, რომ მიუხედავად გარკვეული შენიშვნებისა, რომელიც ჰქონდა ქართულ მხარეს ამ გეგმასთან დაკავშირებით, მთლიანობაში ჩვენ ეს გეგმა მივიღეთ და ამის თაობაზე ვუთხარით კიდევაც გერმენულ მხარეს, მხარი დავუჭირეთ ამ გეგმას. შემდეგ, ამ გეგმის მიხედვით უნდა შემდგარიყო უკვე სამუშაო შეხვედრები. სამწუხაროდ, რუსეთის მხარემ უარი განაცხადა ივლისის ბოლოს სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობაზე, თქვეს, რომ ძირითადად შვებულებებში არის ყველა, ვინც ამ საკითხებზე მუშაობს ჩვენს სამინისტროებში, ამიტომ, მოდით, ეს გადავდოთ აგვისტოს ბოლოსთვის. სეპარატისტულმა ხელისუფლებამაც მხარი აუბა, რომ არა, ახლა არ გვინდა, გადავწიოთ აგვისტოს ბოლოსთვის და აგვისტოს ბოლოსთვის გადაწევას რა შედეგი მოჰყვა, კარგად მოგეხსენებათ. ამიტომ გეგმა ვერ შესრულდა, თუმცა, ისევ ვიმეორებ, ჩვენ ეს გეგმა მივიღეთ, დავეთანხმეთ და მზად ვიყავით, უკვე დაგვეწყო რეალური მუშაობა გეგმის შესასრულებლად.

და, რაც შეეხება, ქალბატონო ხათუნა, საელჩოებთან კოორდინაციას, მე უკვე მოგახსენეთ, რომ ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანწილად ხდებოდა წერილობითი, ოფიციალური ფორმით ანუ არსებობს გაგზავნილი ინსტრუქციებიც, არსებობს საელჩოებიდან მიღებული პასუხებიც და, ალბათ, ბუნებრივი იქნება, თუ კომისიას ინტერესი აქვს, შეგიძლიათ გამოითხოვოთ რუსეთის საელჩოდან იმ პერიოდში, ვთქვათ, - როგორც საჭიროდ ჩათვლით,- გამოითხოვოთ იმ პერიოდში მიღებული წერილების ასლები საგარეო საქმეთა სამინისტროდან და ამ წერილების ასლებში იქნება მთლიანად აღწერილი, ვთქვათ, რას აკეთებდა საელჩო, ვისთან ჰქონდა საელჩოს კომუნიკაცია და, საერთოდ, რა ხარისხის ინფორმაციას აძლევდა საელჩო ცენტრალურ აპარატს. ამ წუთში მე, უბრალოდ, ასე ზეპირად ვერ გიპასუხებთ, რომელ წერილში რა ინფორმაცია იყო. თქვენ შეგიძლიათ გამოითხოვოთ წერილები და იქ ყველაფერი იქნება დოკუმენტურად დადასტურებული. თუ, ვთქვათ, წერილები არ არის, ეს თავისთავად იმის ინდიკატორი იქნება, რომ საელჩოდან ინფორმაცია არ იყო.

თავმჯდომარე. ბატონო დავით, რადგანაც ჩვენ მივუახლოვდით აგვისტოს თვეს, მე მინდა დაგისვათ რამოდენიმე შეკითხვა. პირველი. იცით თქვენ, რომ კომისიამ მიმართა წერილით საზღვრის დაცვის დეპარტამენტს და ჩვენ დავინტერესდით, რომ 7 აგვისტოდან 14 აგვისტოს ჩათვლით ვინ გადალახა სახელმწიფო საზღვარი. იმ წერილიდინ, რომელიც, იმ პასუხისგან, რომელიც ჩვენ მივიღეთ ამ უწყებიდან, ცალსახად ჩანს, რომ დაახლოებით 8 აგვისტოს, თუ არ ვცდები, თქვენ დაბრუნდით საქართველოში და 7 აგვისტომდე, ეტყობა, იყავით გასული საქართველოდან. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაინტერესებს, იყავით თუ არა თქვენ გასული, სად იყავით გასული

და როდის დაბრუნდით? ეს ერთი. მეორე, ქრონოლოგიურად, დაბრუნების შემდგომ თქვენ სად იმყოფებოდით 14 აგვისტოს ჩათვლით, როდესაც ხდებოდა ესკალაცია და ..... ღებულობდით პირადად თქვენ და ღებულობდით თუ არა მუშაობაში მონაწილეობას, რომელიმე შტაბის მუშაობაში. აგრეთვე, როგორც ცნობილი არის, პარლამენტის თავმჯდომარემ შექმნა სამუშაო ჯგუფები და შტაბები პარლამენტის შიგნით, რომლებიც მუშაობდნენ გარკვეული მიმართულებებით. რითი იყო ეს განპირობებული და რატომ იყო ეს გადაწყვეტილება მიღებული? ბატონო დავით, როგორც ცნობილი არის, საზოგადოებიდან შემოდის ჩვენთან შეკითხვები ინტერნეტის მეშვეობით და ბევრი პოლიტიკოსი და ექსპერტიც გვიგზავნის. ერთ–ერთი შეკითხვა მდგომარეობს ასე: რა კომპეტენციის ფარგლებში მოუწოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ღია ეთერით რუსი დამკვირვებლების წინააღმდეგ პარტიზანული ომის წამოწყებისკენ მოსახლეობას მაშინ, როცა სამხედრო შენაერთებს ბრძანება ჰქონდათ მიღებული დაეტოვებინათ ტერიტორია. იყო თუ არა ასეთი მოწოდება მოსახლეობისათვის დამატებითი საფრთხის შემქმნელი. იყო თუ არა ასეთი გადაწყვეტილება მხარდაჭერილი უშიშროების საბჭოს მიერ და რა სამხედრო და ფინანსური რესურსი იქნა მობილიზირებული მოსახლეობის დასახმარებლად. და საერთოდ, ეს გადაწყვეტილება, რომელიც თქვენ გაახმოვანეთ, ეს იყო თქვენი გადაწყვეტილება თუ ეს იყო განსჯის საგანი და შემდგომ მიიღეთ თქვენ ამ გადაწყვეტილების გახმაურების. გმადლობთ.

დ.ბაქრაძე. გმადლობთ. დავიწყოთ საზღვრის ...

თავმჯდომარე. .... დაზუსტება.

გ.გაბაშვილი. წინა თემის დასაზუსტებელი შეკითხვა მაქვს. თქვენ ბრძანეთ, რომ ჩვენ დღემდე არ ვიცით, ასე ვთქვათ, გარკვევით რა უნდა რუსეთს. მე გავიხსენებ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა, როცა მას ეს ჰკითხეს იმ პერიოდში, როცა ქართველების მასობრივი დეპორტაცია ხდებოდა რუსეთიდან, პრესკონფერენციაზე მე ჟურნალისტებს ასე ვუპასუხე, რომ ქართველებმა თავად იციან, რა გვინდა ჩვენ მათგან. ანუ მე კონკრეტულად მინდა გკითხოთ, მოდიოდა თუ არა ოდესმე რუსეთის ხელმძღვანელობისგან ამგვარი სიგნალი, რომ თუ ჩვენ, ვთქვათ, ჩვენ საგარეო უსაფრთხოების ორიენტირს შევიცვლით ნატოზე ორიენტაციის სახით, ისინი გვაძლევენ გარანტიას, ვთქვათ, ტერიტორიული მთლიანობის ჩვენი მხარდაჭერისა. ყოფილა თუ არა ოდესმე ასეთი სიგნალი მათგან შემოსული ჩვენთან.

დ.ბაქრაძე. კარგით. მე მაშინ ბარემ დავიწყებ ბოლო კითხვით, რადგან ეს წინა თემას უკავშირდება. მე შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენთან დიალოგის დროსაც დაახლოებით ანალოგიურ პასუხს გვაძლევდნენ ჩვენი რუსი პარტნიორები, ანუ როდესაც ჩვენ ვცდილობდით გაგვეგო, კონკრეტულად რაში არის რუსეთის ინტერესი, კონკრეტულად რას ეწინააღმდეგება საქართველო თავისი დღევანდელი პოლიტიკით, რატომ უქმნის საქართველო დისკომფორტს რუსეთს. ძალიან ბევრჯერ გვაქვს ნათხოვი, მათ შორის, პირადად მეც, ჩვენი რუსი პარტნიორებისთვის. მოგვეცით, გნებავთ, დაწერილი ე.წ. ნოუთ – ფეიფერის სახით, გნებავთ, დოკუმენტის სახით, გნებავთ, ზეპირად გვითხარით, გვითხარით კონკრეტულად ერთი, ორი, სამი, რა არ მოგწონთ, რა არის პრობლემა და რაში ხედავთ საფრთხეს საქართველოს ამ განვითარებით, არასდროს, სამწუხაროდ, ასეთი მკაფიო სახით ჩვენ ეს წინადადებები არ მიგვიღია. მე შემიძლია გითხრათ, რომ დაახლოებით ანალოგიურ პასუხს ვიღებდით, რომ თქვენ თვითონაც იცით, რა გვინდა. ამ დონეზე იყო დაახლოებით და რაც შეეხება კონკრეტულ შეთავაზებას, ისევ ვიმეორებ, არანაირი შეთავაზება, მათ შორის, ვთქვათ, შესაძლო გაცვლა: ნატო ან ტერიტორიული მთლიანობა, არასდროს ეს საკითხი მკაფიოდ არ მდგარა. შეიძლება იყო გარკვეული მინიშნებები სხვადასხვა თანამდებობის პირების მხრიდან, რომ ნუ, თუ თქვენ, ვთქვათ გინდათ, რომ იყოთ პროდასავლურები, ამერიკის მოკავშირეები, მაშინ ჩვენ რატომ უნდა მოგეხმაროთ პრობლემების მოგვარებაში, მაგრამ აი ასეთი ზოგადი სპეკულაციის იქით, ყოველ შემთხვევაში, ჩემს მეხსიერებაში და, ვთქვათ, ჩემს მიერ ჩატარებულ შეხვედრაზე კონკრეტიკა განხილული არ ყოფილა და კონკრეტული შეთავაზებები განხილული არ ყოფილა. ამიტომ ეს საკითხი მართლა ძალიან ბუნდოვანი იყო.

რაც შეეხება საზღვარს, მე შემიძლია გითხრათ, რომ მართლაც არ ვიმყოფებოდი საქართველოში სამი აგვისტოდან, 4 აგვისტოს ადრე დილიდან არ ვიმყოფებოდი საქართველოში და როგორც კი ე.ი. 5–ში და 6–ში მე მქონდა რეგულარული, ვთქვათ, სატელეფონო კონტაქტი საქართველოსთან, როდესაც უკვე სიტუაცია იწყებდა დაძაბვას და 7–ში დილიდან, როდესაც უკვე სიტუაცია რეალურად დაიძაბა და ამ დროს უკვე ჩვენს ხელისუფლებას ჰქონდა ინფორმაცია, 7-ში დილით, იმის თაობაზე, რომ რუსული ტექნიკა შემოდიოდა საქართველოში, 7-ში დილით დახურული სპეკკავშირის საშუალებით როგორც კი მე პრეზიდენტმა ჩამაყენა საქმის კურსში და მითხრა ეს ინფორმაცია, მაშინვე მე გადავწყვიტე საქართველოში დაბრუნება, რა თქმა უნდა, და, ნუ, პირველივე, ლოჯისტიკურად პირველივე რეისით დავბრუნდი საქართველოში და ეს იყო 8-ის გამთენიისას, თუ არ ვცდები, ღამის 2 საათზე თურქული ავიაკომპანიის თვითმფრინავით ჩამოვფრინდი თბილისში. ეს ოფიციალურად საზღვრის გადმოკვეთა დაფიქსირებულია და ანუ ამ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, ძალიან მარტივი პასუხია, რომ მე არ ვიყავი საქართველოში და დავბრუნდი მაშინვე, როგორც კი გავიგე, რომ სიტუაცია იძაბებოდა, ისევე, სხვათა შორის, როგორც ძალიან ბევრი სხვა ადამიანი მთავრობიდანაც და პარლამენტიდანაც.

რაც შეეხება შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით, მთელი შემდგომი პერიოდი მე ვიყავი თბილისში მთლიანად და მე ვფიქრობ, ძალიან ხილული იყო საზოგადოებისთვის ეს ყველაფერი. იყო გარკვეული ურთიერთქმედება პარლამენტს და მთავრობას შორის, თუმცა, ბუნებრივია, რომ ასეთ სიტუაციაში ყველა უნდა ეცადოს, რომ თავის სფეროზე და თავის საქმეზე იყოს ფოკუსირებული, ვინაიდან ძალიან დიდი ჩარევის შემთხვევაში იზრდება უფრო გაურკვევლობის და იზრდება არასწორი გადაფარვის რისკი. ამიტომ იმას, რასაც აკეთებდა მთავრობა, ჩვენ ვცდილობდით ეს არ გაგვემეორებინა და დუბლირება არ მოგვეხდინა მთავრობის საქმიანობის, თუმცა, ძალიან ბევრი დეპუტატი მონაწილეობდა პარალელურად და ეხმარებოდა მთავრობას ამ საქმიანობაში. მე შემიძლია გითხრათ, რომ, მაგალითად, იგივე ჰუმანიტარული დახმარების განაწილების საკითხში ძალიან ბევრი დეპუტატი მონაწილეობდა. იგივე, ვთქვათ, კომისიის წევრი ქალბატონი ხათუნა გოგორიშვილი მონაწილეობდა ჰუმანიტარული დახმარების განაწილებაში, კობა სუბელიანი, რომელიც მაშინ დეპუტატი იყო, ქალბატონი რუსიკო კერვალიშვილი, გიგი წერეთელი. ძალიან ბევრი, მე, უბრალოდ, არ ჩამოვთვლი, რომ არ გამომრჩეს. ბატონი დიმა ლორთქიფანიძე, ძალიან ბევრი ადამიანი იყო ჩართული, ეს ერთი.

შემდეგ, იცით, რომ პარლამენტში შევქმენით კომისია უგზო–უკვლოდ დაკარგულთა მოძიების, რომელსაც ბატონი გივი თარგამაძე ხელმძღვანელობდა. მე ვთვლი, რომ ძალიან კარგად იმუშავა ამ კომისიამ და ძალიან დიდი მოცულობის სამუშაო ჩაატარა. ანუ, მე მინდა აღვნიშნო, რომ ძირითადად პარლამენტი მუშაობდა დამატებით იმისა, რასაც მისი საკუთარი კომპეტენციის სფეროებში აკეთებდა მთავრობა, რომ არ მომხდარიყო ფუნქციების აღრევა, ვინაიდან როდესაც არსებობს მინისტრი. კონკრეტულ სფეროზე პასუხს აგებს მინისტრი, პარლამენტის წევრს შეუძლია, უბრალოდ, დაეხმაროს მას კოორდინირებაში, დაეხმაროს მოსახლეობასთან ურთიერთობაში, დაეხმაროს რეგიონში, თუ ეს პარლამენტის წევრი ამ რეგიონიდან არის და ძირითადად სწორედ ამითი იყვნენ პარლამენტის წევრები დაკავებული. ძალიან ბევრი პარლამენტის წევრი რეგიონებიდან იყო ჩასული საკუთარ რეგიონში, განსაკუთრებით ქართლიდან და სამეგრელოდან და ადგილზე ეხმარებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას მუშაობაში. ამითივე აიხსნება ის სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომელიც ჩვენ შევქმენით 13 აგვისტოს. ეს იყო 5 სამუშაო ჯგუფი: დევნილების, ეთნიკური წმენდის ფაქტების დადგენის, რეგიონებთან და თვითმმართველობებთან მუშაობის, ზარალის შეფასების და მასმედიასთან ურთიერთობის. და სპეციფიკის მიხედვით თუ ნახავთ, ეს არის სწორედ ის ჯგუფები, რომელმაც უნდა გააკეთოს დამატებითი საქმე, დამატებითი იმისა, რაც ამ პერიოდში კეთდება და უკეთდებოდა მთავრობის მხრიდან და, მე ვფიქრობ, დეპუტატებმა, რომლებიც ამ ჯგუფებში იყვნენ გაწევრიანებული, ძალიან კარგად იმუშავეს. ყოველ შემთხვევაში, შემდგომ პერიოდში ბევრ მინისტრს აქვს ჩემთვის ნათქვამი, რომ იმ პერიოდში მას ძალიან დაეხმარა დეპუტატებთან მუშაობა და დეპუტატების ადგილზე ყოფნა.

პარლამენტი მთელი ეს პერიოდი მუშაობდა. როგორც კი, მოგახსენეთ, რომ ფაქტიურად 7–ში ღამე დაიწყო ფართომასშტაბიანი კონფლიქტი. 7–ში, ამავე პერიოდში, 8–ში გამთენიისას, მე დავბრუნდი ანუ უკვე მაშინ, როდესაც კონფლიქტი დაწყებული იყო. 8–შივე პარლამენტში შედგა საგანგებო ბიუროს სხდომა. ამის შემდეგ, მთელი ეს პერიოდი პარლამენტი მუშაობდა გაუჩერებელ რეჟიმში, პრაქტიკულად, ყოველდღე. 9–ში შედგა პლანარული სხდომა, სადაც პარლამენტმა დაამტკიცა პრეზიდენტის განკარგულება საომარი მდგომარეობის შემოღების თაობაზე და შემდეგაც, ყოველდღიურად, იმართებოდა ბიუროს სხდომები და პლენარული სხდომები. ანუ, მთელი ეს პერიოდი, 8–16 აგვისტოს პერიოდი, პრაქტიკულად, პარლამენტი, ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობდა ოფიციალურადაც და პლუს ამას, ძალიან ბევრი დეპუტატი, ფაქტიურად, 24 – საათიან რეჟიმში იმყოფებოდა პარლამენტში, მათ შორის, ჩემს კაბინეტშიც ძალიან ბევრი მათგანი. მეც, პრაქტიკულად ვიყავი 24 – საათიან რეჟიმში პარლამენტში. ერთადერთი, ბუნებრივია, მქონდა გასვლები, როდესაც იყო შეკრებები პრეზიდენტთან, როდესაც იყო შეკრებები უშიშროების საბჭოში, ბუნებრივია, ასეთ დროს, მე გავდიოდი. ყველა დანარჩენ დროს ვცდილობდი ვყოფილიყავი ან პარლამენტში, ან მოსახლეობასთან, ვინაიდან, რამდენჯერმე იყო, ასევე, გასვლები მოსახლეობასთანაც, იყო, ვთქვათ, სისხლის ჩასაბარებლად ვიყავი, აქცია იყო პარლამენტის წინ, რამდენიმე სხვა აქცია. ძირითადად, ყველა დანარჩენ მომენტში მე ისევე, როგორც ყველა პარლამენტის წევრი, პრაქტიკულად, ვიყავი პარლამენტის შენობაში. აი ეს არის მიკლედ აღწერა, ვთქვათ, რას აკეთებდა პარლამენტი და მე რას ვაკეთებდი იმ დღეებში, შეგვიძლია უფრო დეტალებზეც ვისაუბროთ, რა იყო. რაც შეეხება, განცხადებას, კითხვა გაქვს თუ,

თავმჯდომარე. ბატონო დავით, კითხვა არა მაქვს, თქვენ გააგრძელეთ.

დ.ბაქრაძე. კი, ბატონო, რაც შეეხება განცხადებას. განცხადებას, რომელიც ჩემს მიერ გაკეთებული იქნა 10 აგვისტოს შუადღისას, მე უბრალოდ, აგიხსნით, რა იყო ამ განცხადების მოტივაცია, რატომ გაკეთდა და შემდეგ გადავალ კონკრეტული კითხვების პასუხზე. 10 აგვისტოს შუადღე იყო ის მომენტი, როდესაც ჩვენ მივიღეთ დადასტურებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ არსებობდა დადასტურებული მონაცემები რუსეთის შეიარაღებული ძალების ზუგდიდისკენ დაძვრის, ზუგდიდის რაიონში და უშუალოდ, ქალაქ ზუგდიდში შესვლის თაობაზე. მე შეგახსენეთ, ეს არის 10 აგვისტოს დილა, 10 აგვისტოს დღის პირველი ნახევარი. ეს ის მომენტია, როდესაც...

თავმჯდომარე. ბატონო დავით, დავაზუსტებ, მარტო რუსული შეიარაღებული ძალები შესვლას აპირებდნენ თუ სეპარატისტული ძალებიც იყო მათთან ერთად?

დ. ბაქრაძე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, ბატონო პაატა, რომელსაც მე მოგვიანებით ხაზგასმით დავუბრუნდები. ეს არის ის მომენტი, როდესაც ქართული შეიარაღებული ძალები გამოვიდნენ ცხინვალის რეგიონიდან, დაბრუნდნენ გორში და ეს არის ის მომენტი, როდესაც კონფლიქტი ჯერ კიდევ ლოკალიზებულია კონფლიქტის ზონაში, ანუ ზუგდიდში რუსული შეიარაღებული ძალების შემოსვლა იქნებოდა ამ კონფლიქტის მთელი შინაარსის შეცვლა, ანუ ეს აღარ იყო უკვე კონფლიქტის ზონებში ლოკალიზებული კონფლიქტი და ზუგდიდის რაიონში და ქალაქ ზუგდიდში შემოსვლით რუსეთი იწყებდა საქართველოს ფართომასშტაბიანი ანექსიის პროცესს, იწყებდა ქართულ ქალაქებში საკუთარი შეიარაღებული ძალების შეყვანის პროცესს.ეს ძალიან მნიშვნელოვანია გავიაზროთ, ვინაიდან აი ზუგდიდში 10–ში, დილით მიღებული ინფორმაცია ცვლიდა მთლიანად მოვლენების შეფასებას. ეს აღარ იყო, ისევ ვიმეორებ, კონფლიქტის ზონებში მიმდინარე კონფლიქტი. ეს იყო უკვე საქართველოს სრულმასშტაბიანი აგრესიის დასაწყისი. ეხლა კითხვა, რომელიც თქვენ ახსენეთ, ბატონო პაატა, ძალიან მნიშვნელოვანი და იმ მომენტში, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით იყო რეალური რისკი და საფრთხე და შემდეგ თუმცა მე ამ ინფორმაციას ვერ გადავამოწმებ და ვერ დავადასტურებ, ვინაიდან დოკუმენტურად არ მაქვს, მაგრამ ეს არის ის, რაც ოპერატიული წყაროებით არის მიღებული, რომ ამ მომენტში იყო სერიოზული გეგმა, რომ რუსულ შეიარაღებულ ძალებთან ერთად ზუგდიდში შემოსულიყვნენ აფხაზური შეიარაღებული ძალებიც და ის, რასაც მე ვერ დავადასტურებ არის ის, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების , ასე ვთქვათ, გაუბედაობის თუ პოზიციის გამო საბოლოო ჯამში თუ ცუდი კოორდინირებულობის გამო რუსულ ძალებთან, ვერ გეტყვით რის გამო, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს აღარ შედგა, მაგრამ იმ მომენტში იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც ჩვენ გვქონდა იყო ძალიან მაღალი ალბათობა, რომ ზუგდიდში რუსებთან ერთად მოხდებოდა აფხაზური ფორმირებების შემოსვლა. რას ნიშნავს იქ და რას ნიშნავდა სამეგრელოში აფხაზური ფორმირებების შემოსვლა, მე ვფიქრობ, კარგად უნდა გავიაზროთ და კარგად უნდა გავიხსენოთ 92 წლის კონფლიქტი, კარგად უნდა გავიხსენოთ დაწყებული გაგრიდან და დამთავრებული გალის რაიონით, რა მოჰყვა აფხაზი სეპარატისტების კონტაქტს მშვიდობიან ქართველ მოსახლეობასთან და კარგად უნდა გავიაზროთ ის პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენ გვეკისრება ჩვენი მოსახლეობის წინაშე, როდესაც მე დღეს ვიღაცამ შეიძლება გამაკრიტიკოს, რომ ჩემი განცხადების გამო ზუგდიდში მოსახლეობა აღელდა და მათ სახლები დატოვეს. აღელდა და დატოვეს, გეთანხმებით, მაგრამ როგორ შემეძლო მე, როდესაც მქონდა ინფორმაცია, რომ არსებობდა მაღალი რისკი, რომ ზუგდიდში შევიდოდნენ რუსები, მათ შეყვებოდნენ აფხაზები და შესაძლებელი იყო დაწყებულიყო მოსახლეობის დარბევა და ეთნიკური წმენდა, როგორ შეგვეძლო ჩვენ, ხელისუფლებას ან მე ეს არ გვეთქვა ჩვენი მოსახლეობისთვის, როგორ შეგვეძლო ჩვენ გაგვეწირა ჩვენი მოსახლეობა ეთნიკური წმენდის და სისასტიკის რისკისთვის, მხოლოდ იმის გამო, რომ 2 საათით მეტ ხანს ისინი ყოფილიყვნენ მშვიდად და ჩვენ ეს ინფორმაცია შეგვენარჩუნებინა. მე არ ვიცი, როგორ მოიქცეოდნენ ის პოლიტიკოსები, ვინც ასეთი ტიპის კრიტიკით გამოდის დღეს, მაგრამ მე შემიძლია გითხრათ, რომ ნებისმიერ მომენტში თუ მე მექნება ინფორმაცია, რომ ჩვენს მოსახლეობას ემუქრება საფრთხე, მე ამ ინფორმაციას ვიტყვი საჯაროდ, იმიტომ რომ ჩემი მთავარი მოვალეობა, როგორც პოლიტიკოსის არის მოსახლეობის მოფრთხილება და მოსახლეობის ინფორმირება და არა იმაზე ზრუნვა, რომ სამი თვის შემდეგ ვიღაცამ ძალიან ისეთი აკადემიური სავარძლიდან არ გამაკრიტიკოს, იმის გამო რომ თურმე იმ მომენტში გაკეთებულმა განცხადებამ გამოიწვია მოსახლეობის აღელვება, ანუ ...

თავმჯდომარე. ... შემიძლია დავადასტურო ერთი რაღაცა, როცა თქვენ გააკეთეთ განცხადება, მე ვიმყოფებოდი ზუგდიდში და განცხადებამდეც, ქრონოლოგიურად ეს შეიძლება იყოს შემოწმებული, მე ვხედავდი თუ როგორ ხდება სეპარატისტული ძალების ესკალაცია ენგურის მიმართულებით,თუ როგორ დაფრინავდნენ რუსული ვერტმფრენები, სანამ თქვენ გააკეთებდით განცხადებას. მე ამასთან დაკავშირებით პირდაპირ ეთერშიც მივმართე მოსახლეობას, რომ ვთქვი, რომ ხდებოდა ესკალაცია ... ძალების. ამიტომ მე მინდა დავადასტურო ისიც, რასაც ჩემი თვალებით ვხედავდი თქვენი განცხადების შემდგომ, რომ გადიოდნენ მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა და საუბარია აქ ქალების და ბავშვების გაყვანაზე, ზუგდიდში მყოფი მამაკაცები და სხვა ფორმირებები, რასაც, ცალსახად ჩანდა, იყო განლაგებული ზუგდიდის ტერიტორიაზე, მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა გადიოდა. ამის მოწმეც არის იგივე საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც მოვიდა ამ სიტუაციაში ზუგდიდში. ამიტომ ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა, რომ მართლაც ძალიან დიდი, ...ენგურის ხიდზე ამ მომენტში, ძალიან დიდი საშიშროება იყო იმისა, რომ მომხადრიყო ეთნიკური წმენდის ახალი ფორმის გაგრძელება ზუგდიდის მიმართულებით და რეალურად იგივე იმ უსტინოვის გათავისუფლება, რაც მოჰყვა აი ამ შედეგებს და ღიად ჩანს, რომ შეიძლება ეს იყოს ირიბი მტკიცებულება იმისა, თუ რაღაც საშინელი გეგმა მზადდებოდა ზუგდიდის მიმართულებით, რომელიც, საბედნიეროდ, არ განხორციელდა. ამის უშუალო მოწმე ვარ. ამიტომ ვალდებული ვარ, ეს ვთქვა, რაც ხდებოდა ზუგდიდში იმ წუთას, როცა თქვენ გააკეთეთ განცხადება.

დ.ბაქრაძე. დიდი მადლობა, ბატონო პაატა. გეთანხმებით, საყურადღებო ფაქტია უსტინოვის გათავისუფლება,

რომელიც ძალიან რთული ასახსნელია, ვინაიდან ეს იყო ადამიანი, რომელმაც მოახდინა მთელი რეგიონის ოკუპაცია ანუ დარჩა მას რაღაც ისეთი გაუკეთებელი, რისი გაკეთებაც მან ვერ შეძლო. რა დარჩა, ეს არ ვიცით, მაგრამ ფაქტი, რომ ის მოხსნეს, ნიშნავს იმას, რომ მისი ხელმძღვანელობა ძალიან უკმაყოფილო იყო უსტინოვის მოქმედებით. ისევ ვიმეორებ, თუ მას მხოლოდ სამეგრელოს ოკუპაცია ევალებოდა იმ ფორმით, რა ფორმითაც ეს მოხდა, გაუგებარია, რატომ მოხსნეს ამისთვის ეს ადამიანი. და სხვათა შორის, რამდენადაც მე თვალ-ყურს ვადევნებდი, სამეგრელოს გუბერნატორმა თქვენს კომისიაზე გამოსვლის დროს დაადასტურა, რომ კიდევ ორჯერ მომდევნო დღეებში, 12 და 14 აგვისტოს იყო მცდელობები რუსეთის მხრიდან, დაეწყოთ გარკვეული რეპრესიები ზუგდიდში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, იქ დაეწყოთ ფართომასშტაბიანი ჩხრეკები, დაწიოკება და ა.შ. ანუ ეს საფრთხე, ანუ ეს კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ეს საფრთხე, მით უმეტეს, 10-ში ნამდვილად არსებობდა. და მე კიდევ ერთს დავამატებ, რომ ჩემი გამოსვლა, ჩემი განცხადება იყო გზავნილი არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის და ზუგდიდის მოსახლეობის მიმართ, ეს იყო გზავნილი რუსეთის მიმართ. მე შეგახსენებთ, რომ ეს არის 10-ის დღის პირველი ნახევარი, მაშინ, როდესაც ჩვენმა ძალებმა უკან დაიხიეს ცხინვალის რეგიონიდან, მაგრამ საბრძოლო მოქმედებები შეჩერებული არ არის და ეს არის მომენტი, როდესაც უნდა გადაწყვეტილიყო ომის შემდგომი ბედი, მოვახერხებდით ქვეყანაში მშვიდობიანობის, პირობითად მაინც, შენარჩუნებას და ნაკლებ ნგრევას ქვეყნის თუ იძულებული ვიქნებოდით, დაწყებულიყო პარტიზანული მოძრაობა და, ვთქვათ, მომხდარიყო ქვეყნის ავღანიზაცია ან ჩეჩნიზაცია. და ის, რაც მე განვაცხადე, რომ თუ რუსები დაიწყებენ მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევას, ჩვენ იძულებული ვიქნებით, გადავიდეთ პარტიზანულ მოძრაობაზე, იყო სიგნალი რუსეთის მიმართ, რომ მათ არ დაეწყოთ მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევა, ვინაიდან, ცხადია, რომ მასიური პარტიზანული წინააღმდეგობა რუსულ მხარეს აშინებდა, ეს მათ ინტერესშიც, ალბათ, ნაკლებად შედიოდა და, მე ვფიქრობ, ის, რომ საბოლოო ჯამში არ მოხდა მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დარბევა იმ ქალაქებში, სადაც რუსული შეიარაღებული ძალები შევიდა,ერთ-ერთი შემაკავებელი ფაქტორი სწორედ ისიც იყო, რომ რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ ძალიან კარგად იცოდა, რომ თუ ისინი დაიწყებდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევას და დაწიოკებას ჩვენ იძულებული ვიქნებოდით აგვერჩია მეორე სცენარი, აგვერჩია ტოტალური დაპირისპირების სცენარი და გადავსულიყავით პარტიზანულ მოძრაობაზე. ამიტომ, ეს იყო გზავნილი რუსეთის მიმართაც და არამხოლოდ ჩვენი მოსახლეობის. ამიტომ, მე რომ ძალიან მოკლედ შევაჯამო, რას ნიშნავდა, 10–ში დილით ზუგდიდში შესვლა, ნიშნავდა მთელი კონფლიქტის შინაარსის შეცვალას, ვინაიდან ეს იყო საქართველოს ფართომასშტაბიანი ანექსიის დასაწყისი, ეს ნიშნავდა ეთნიკური წმენდის რეალურ საფრთხეს, ვინაიდან, ისევ ვიმეორებ, მხოლოდ რუსებისგანაც კი ეს მოსალოდნელი იყო და, მით უმეტეს, ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ შეიძლება შეჰყოლოდნენ აფხაზური ფორმირებები. ეს ნიშნავდა მოსახლეობის დაწიოკების რისკს და ეს ნიშნავდა რუსების მიმართ სიგნალს, რომ არ გადაედგათ ეს ნაბიჯი ვინაიდან ამას მოჰყვებოდა ჩვენგან წინააღმდეგობა. აი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით იქნა ეს განცხადება გაკეთებული. არის რამდენიმე, ასე ვთქვათ, კლიშე, როდესაც ამ განცხადებაზე საუბრობენ. პირველი, ვისი დავალებით იყო.

მე განცხადებაში პირდაპირ ვაფიქსირებ, რომ ეს არის პრეზიდენტის და ხელისუფლების მოწოდება. ვინც გაეცნობა განცხადების ტექსტს ამას ნახავს, რომ პირდაპირ ვამბობ განცხადებაში და ეს იყო განცხადება, რომელზეც მე ვისაუბრე საქართველოს პრეზიდენტთან, ეს იყო პრეზიდენტის პოზიცია. მე მქონდა საუბარი უშიშროების საბჭოს სხვა წევრებთანაც და ეს იყო შეჯერებული პოზიცია, რომ თუ რუსები დაიწყებდნენ მოსახლეობის დარბევას და შევიდოდნენ ზუგდიდში, ჩვენ იძულებული ვიქნებოდით გაგვეწია წინააღმდეგობა. ამიტომ, ეს გახლდათ, როგორც გითხარით, შეთანხმებული განცხადება.

მეორე კლიშე, თითქოს ჩვენ მოვუწოდეთ ხალხს, რომ აი, ჩვენ ვწყვიტავთ თავდაცვას და თქვენ თქვენი თავი დაიცავით, და ვინც ამავე განცხადების ტექსტს გადახედავს და არ დაეზარება პირდაპირ წერია, შემიძლია წაგიკითხოთ, რომ პრეზიდენტი პირადად ხელმძღვანელობს ქვეყნის თავდაცვას. ჩვენ მოგიწოდებთ სიმტკიცისკენ. უნდა ვიყოთ ერთად. ჩვენ დავიცავთ ჩვენს სამშობლოს და . . . ანუ ტექსტი არის მთლიანად ისეთი, რომ ხელისუფლება იცავს ქვეყანას, თუმცა არსებობს დამატებითი საფრთხე.

კიდევ ერთი კლიშეა, რომ თითქოს ამითი დაირღვა სიმშვიდე და მე უკვე გითხარით, რომ სიმშვიდეს და სიცოცხლეს შორის, ჩვენთვის ბევრად უფრო მაღალი ღირებულებაა სიცოცხლე და იქ სადაც მოსახლეობის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე, ჩვენ, ვითომ, სიმშვიდის დაცვის მიზნით, ნამდვილად ვერ მოვატყუებთ ხალხს, რომ საფრთხე არ ემუქრებათ. ჯობია ხალხმა იცოდეს, რომ საფრთხე ემუქრებათ და ბოლოს, თითქოს ასეთივე მოწოდება, რომ მაშინვე გადავსულიყავით ტოტალურ წინააღმდეგობაზე. მე კიდევ ერთხელ წაგიკითხავთ, უბრალოდ, ტექსტს. "კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ სიმშვიდისკენ, სიმტკიცისკენ და ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევისკენ, სადაც ეს აუცილებელი იქნება". მე ვფიქრობ ,ეს ტექსტი ძალიან მკაფიოა, არის პირდაპირი მოწოდება სიმშვიდისკენ და წინააღმდეგობისკენ იქ, სადაც, საჭირო იქნება. სადაც საჭირო იქნება,წინააღმდეგობას გავუწევთ. მე ნამდვილად არ მრცხვენია ვაღიარო, რომ რუსეთის ოკუპაციის პირობებში, სადაც საჭირო იქნება, ჩვენ ყველამ უნდა იარაღი ავიღოთ და უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყანა, ამისთვის ვარსებობთ ჩვენ, ამისთვის ვარსებობთ პოლიტიკოსებიც, ამისთვის არსებობენ ამ ქვეყნის მოქალაქეები და საქართველოს მთელი ისტორია არის ოკუპანტისთვის წინააღმდეგობის ისტორია და როდესაც ჩვენ სკოლაში გვასწავლიან,

მაგალითისთვის, ვთქვათ, იგივე ბახტრიონის აჯანყებას ან ძალიან ბევრ სხვა მოვლენას, ეს არის ოკუპანტისთვის წინააღმდეგობის გაწევის ისტორია. ამითი გადარჩა ეს ქვეყანა ათასწლეულების მანძილზე და ჩვენი მოვალეობაა, რომ ნებისმიერ სიტუაციაში, სადაც არ გვექნება სხვა გზა, სადაც არ გვექნება სხვა გამოსავალი ჩვენ გავუწიოთ ოკუპანტებს წინააღმდეგობა. მე ამ განცხადების ნამდვილად არ მრცხვენია, მე უკან არ ვიხევ და, ღმერთმა დაგვიფაროს, მომავალშიც რომ გახდეს ასეთი რამე საჭირო,მე კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მე მზად ვარ იარაღით ხელში გავუწიო წინააღმდეგობა ნებისმიერ ოკუპანტს და ნებისმიერ დამპყრობელს, რომელიც ამ ქვეყანაში შემოვა. აი, ეს არის განცხადებასთან დაკავშირებული კონკრეტული კონტექსტი.

თავმჯდომარე. ბატონო დავით, მე დავამატებდი ერთ საკითხს და ამას ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა იმიტომ, რომ თქვენ არ გაუსვით ამას ხაზი. მე მინდა ვთქვა, რომ იგივე, როდესაც კოდორის ხეობაში იყო განვითარებული მოვლენები და მშვიდობიანი მოსახლეობა ჩამოდიოდა კოდორის ხეობიდან, ზუსტად როცა ხდებოდა ეს განცხადებები, თქვენი პირადი დამსახურებით იქნა გამოყოფილი ტრანსპორტის საშუალება და ეს დევნილები იყო ევაკუირებული ქუთაისის მიმართულებით. დღეს ბევრი სპეკულაცია ხდება იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ გააკეთა ეს. მე ღიად შემიძლია ვთქვა, რომ ეს გააკეთა, პარლამენტის თავმჯდომარის უშუალო ჩარევით მოხერხდა ამის გაკეთება.ამიტომ ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ განწყობა მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან იყო ცალსახად მათი უსაფრთხოების დაცვა. ხოლო რაც შეეხება ეთნოწმენდის ფაქტებს მართლაც, ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ არათუ მაშინ, არამედ დღესაც ცალსახად ჩანს, რომ ეთნოწმენდის ფაქტები რეალურად ვითარდება არა მარტო ახალგორის მიმართულებით, არამედ იგივე გალის მიმართულებითაც და წალენჯიხის რაიონის გამგებლის დაღუპვა ერთ–ერთი ამის მანიშნებელი არის, რომ ამის საფრთხე დღესაც არის.

დ.ბაქრაძე. გეთანხმებით. დიდი მადლობა. მე ნამდვილად არ მინდოდა ამის აღნიშვნა, ბატონო პაატა, ვინაიდან იმ დღეებში ყველა, ალბათ, ვაკეთებდით იმას, რაც შეგვეძლო და როდესაც მკითხეთ, რას ვაკეთებდი ამ 7–14 აგვისტოს პერიოდში, მე უბრალოდ, ბევრ რამეს ვერც ვიხსენებ და ბევრ რამეს, ალბათ, არც გავიხსენებ ვინაიდან ეს ის დღეები იყო, როდესაც თითოეული ჩვენგანი აკეთებდა იმის მაქსიმუმს, რისი გაკეთებაც შეგვეძლო. ამიტომ მე ნამდვილად არ მინდა, რომ რაღაც, ასე ვთქვათ, პიროვნულ მომენტებზე იყოს ხაზგასმა. მაგრამ დიდი მადლობა შეხსენებისთვის.

თავმჯდომარე. ბატონო დიმიტრი, თქვენ გნებავთ, ხომ?

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო დავით, ბევრში გეთანხმებით ნამდვილად, რომ ყველა აკეთებდა იმას, რაც შეეძლო რომ გაეკეთებინა, მაგრამ მიუხედავად ამისა რუსეთის მხრიდან აგრესიის განხორციელებამდე 4 თვით ადრე შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელიც იყო საგანგებო სიტუაციათა მართვის კუთხით შექმნილი. ეს მოხდა 2008 წლის 21 მარტს და ამ დადგენილებას ხელს აწერს ყოფილი პრემიერ–მინისტრი ბატონი ვლადიმერ გურგენიძე. ღიად, საჯაროდ, ღია სხდომაზე დაფიქსირდა მისი პოზიციაც, მან გამოხატა სინანული იმასთან დაკავშირებით, რომ ვერ მოასწრო ამ კომისიამ მუშაობა და, რა თქმა უნდა, ეს თავისთავად მეტად სავალალო ფაქტია. მე მინდა თქვენი შეფასება ....

დ.ლორთქიფანიძე. და, რა თქმა უნდა, ეს თავისთავად მეტად სავალალო ფაქტია, მე მინდა თქვენი შეფასება, ერთის მხრივ, ამ ფაქტთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, თქვენ უნდა დაგისვათ ის შეკითხვა, რაც დავუსვი თავის დროზე ქალბატონ ეკა ტყეშელაშვილს, და ბატონ გელა ბეჟუაშვილს, და ეს კითხვა პირდაპირ მიზეზშედეგობრივ კავშირშია სწორედ,აი ამ კომისიის, არამოქმედებული კომისიის მუშაობასთან. კერძოდ, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, როდესაც თქვენ ბრძანდებოდით საგარეო უწყების პირველი პირი, თქვენდამი დაქვემდებარებული ერთ-ერთი სტრუქტურა წარმოადგენდა სამართლებრივ, საერთაშორისო სამართლებრივ დეპარტამენტს ვგულისხმობ, წარმოადგენდა სტრუქტურას, რომელიც გარკვეულ პასუხისმგებლობას იღებდა საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული საკითხების შესრულებაზე. ამ კითხვებთან დაკავშირებით ქალბატონმა ეკამაც და ბატონმა გელამაც გაგვცა პასუხი და მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ისინი გარკვეულწილად არ ეთანხმებოდნენ სამინისტროს დებულებას და თვლიდნენ, რომ აღნიშნული ფუნქციებით დაკავდებოდა კონკრეტული დეპარტამენტი, სამინისტრო უნდა გადაქცეულიყო რაღაც ზეუწყებად. თუმცა, მკაფიოდ და მკვეთრად არის განსაზღვრული, რომ საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი ახორციელებს კონტროლს, ზედამხედველობას და ანალიზს აი ამ კონვენციებით გათვალისწინებული ნორმების შესრულებაზე. და ერთ-ერთი საკითხი სწორედ, შეეხებოდა სამოქალაქო თავდაცვის კონვენციას, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მიუერთდა 2005 წლის 13 ოქტომბერს, და ჩვენ ძალიან კარგად დავინახეთ სწორედ, რომ ეს ის რგოლია, რომელმაც ვერ იმუშავა, სამწუხაროდ, ვერ იმუშავა, და ეს ყველაფერი აისახება, კონკრეტულად აისახება თითოეული დეტალის გათვალისწინებით, აისახება კომისიის დასკვნაში. მე მინდა სწორედ აი ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, გააკეთოთ თქვენი შეფასებაც, და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში გაგვცეთ პასუხი. გმადლობთ.

დ.ბაქრაძე. გმადლობთ. რაც შეეხება...

თავმჯდომარე. ბატონო დავით, ერთი შეკითხვაა ბატონი გოკასი, და...

გ.გაბაშვილი. ბატონო დავით, ბატონი პაატა ყოველთვის აღნიშნავს ხოლმე, რომ ჩვენი კომისიის მუშაობა იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამოწურული ყველა საფრთხე რუსული აგრესიის, ვთქვათ, გამეორებისა. არ არის ნამდვილად და ნუ, სიტუაცია არის რთული. ჩვენ წლების და განსაკუთრებით ბოლო თვეების განმავლობაში ხმამაღლა ვაცხადებდით, რომ არის ეს საფრთხე იმისა, რაც აგვისტოში მოხდა, მაგრამ ეს მაინც მოხდა. როგორ ფიქრობთ, ახლა, რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ ჩვენ დამატებით იმისათვის, რომ ახლა მაინც, ასე ვთქვათ, ყველამ გაიგოს ის საფრთხეები, რა საფრთხეებიც მომავალში შეიძლება კიდევ იყოს ჩვენი მიმართულებით, სხვა ქვეყნების მიმართულებითაც შესაძლებელი. მაგრამ, ჩვენ ჩვენი გვაწუხებს ბუნებრივ პირობებში, რა ღონისძიებები შეიძლება გავატაროთ ჩვენ და რა გვიჩვენა ამ გამოცდილებამ, რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რომ ახლა მაინც ავუხსნათ ყველას რეალური ვითარება.

დ.ბაქრაძე. დიდი მადლობა. დავიწყებ საგანგებო სიტუაციების მართვით. ნუ, ალბათ შეფასების მიცემა ამ შემთხვევაში კომისიის კომპეტენციაა, შეაფასოს რამდენად ეფექტურად მუშაობდა ან არ მუშაობდა მთავრობა, მათ შორის, ამ კონკრეტული კუთხითაც. უბრალოდ, მე შემიძლია ამ
შემთხვევაში გავიზიარო ყოფილი პრემიერ–მინისტრის შეფასება,
რადგან არსებობდა შესაბამისი სამართლებრივი აქტი, ალბათ, მთავრობას უფრო დროულად უნდა ეზრუნა მის იმპლემენტაციაზე, თუმცა, ეს ამ შემთხვევაში ჩემი პირადი აზრია და, ბუნებრივია, საბოლოო შეფასებას კომისია მისცემს.

რაც შეეხება სამინისტროს როლს, სამინისტროში
დიახ, არსებობს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი, რომლის ამოცანას შეადგენს ის, რაც თქვენ ჩამოთვალეთ. თუმცა, როგორც წესი, საგარეო საქმეთა სამინისტროს როლი არის მაკავშირებლის როლი, ეს არის, მაკავშირებელი საქართველოს ეროვნულ სტრუქტურებს და საერთაშორისო სტრუქტურებს შორის. როდესაც არის ისეთი ტიპის საერთაშორისო კონვენცია, რომელიც მოითხოვს ქვეყნის შიგნით სერიოზული ზომების მიღებას, პრაქტიკა არსებობს და ეს
საერთაშორისო პრაქტიკაა, იქმნება ეროვნული იმპლემენტაციის ორგანო
ან ეროვნული მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს, ცხოვრებაში ატარებს ამ კონვენციას, ხოლო შემდეგ უკვე საგარეო საქმეთა სამინისტრო რჩება როგორც მოკავშირე, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობას აცნობებს ამ ორგანოს მიერ ქვეყნის
შიგნით გატარებული ნაბიჯების და მათი მუშაობის შედეგებს. ამიტომ ამ შემთხვევაში საგარეო საქმეთა სამინისტრო პირდაპირ პასუხისმგებელი არ იყო და, ალბათ, მე დავეთანხმები ჩემს ყოფილ კოლეგებს ამ შეფასებაში, ამ შეთხვევაში საგარეო საქმეთა სამინისტროს
უფრო მეტად ევალებოდა კოორდინირება, კავშირი ადგილობრივ სტრუქტურას, ადგილობრივ პასუხისმგებ ელ უწყებას და შესაბამის საერთაშორისო სტრუქტურებს შორის. თუმცა, მე მინდა ისიც გითხრათ, რომ, ნუ, ვთქვათ, ჩემი მინისტრობის დაახლოებით ორ თვე–ნახევრის განმავლობაში, მე სრულიად
გულწრფელად გეტყვით, რომ არ ავიცილო თავიდან, ვთქვათ, ჩემი პირადი ნაკლოვანებების აღნიშვნაც, მე უბრალოდ ფიზიკურად ვერ მოვახერხე შესაბამისი ყურადღება მიმექცია, მათ შორის, ამ
თემისთვისაც, ვინაიდან ეს პერიოდი იყო , როგორც უკვე გითხარით, ჩემი მინისტრობა
მთლიანად დაემთხვა იმას, იმ რუსეთის მხრიდან აგრესიული ნაბიჯების დაწყების პერიოდს. მთელი იმ 2 თვე–ნახევრის განმავლობაში, სანამ მე ვიყავი მინისტრი, პრაქტიკულად, ყოველკვირეულად რუსეთი დგამდა მორიგ აგრესიულ ნაბიჯს და მთელი ჩვენი რესურსი იყო განაწილებული ორი მიმართულებით. ეს პირველი იყო რუსეთი და მეორე გახლდათ ნატო, ვინაიდან. მოგეხსენებათ, რომ აპრილში
იყო ბუქარესტის სამიტი, რამაც ასევე, ძალიან სერიოზული დიპლომატიური მუშაობა მოითხოვა ჩვენგან. ამიტომ რესურსების თვალსაზრისით, ჩვენი ორი მთავარი პრიორიტეტი იყო სწორედ რუსეთის კონფლიქტები და ნატო. ამიტომ მე ჩემს თავზე ავიღებ კრიტიკის ნაწილს იმ ნაწილში, რომ, ალბათ, საგარეო საქმეთა სამინისტროს უფრო აქტიურად შეეძლო,
როგორც, მინიმუმ, მოეთხოვა შესაბამისი შიდა ორგანოსგან აღნიშნული კონვენციების შესრულება. თუმ ცა, ისევ ვიმეორებ, მთავარი შემსრულებელი ორგანო ჩვენ, ბუნებრივია, ვერ ვიქნებით. ჩვენ, უბრალოდ, შეგვეძლო მოგვეთხოვა შესაბამისი სტრუქტურებისგან, რომ მათ
მოეწოდებინათ ინფორმაცია, შეესრულებინათ და შემდეგ ჩვენ უკვე ეს ინფორმაცია გადაგვეგზავნა სადაც საჭიროა.

რაც შეეხება საფრთხეებს, საფრთხეებთან დაკავშირებით მე გითხარით, რომ, ყოველ შემთხვევაში, ჩემი საგარეო მინისტრობის პერიოდში, დაწყებული მარტიდან, პრაქტიკულად, ყოველკვირეულად და ყოველდღიურად მე მქონდა კონტაქტი ყველა შესაძლო დონეზე ჩვენს უცხოელ კოლეგებთან. ყველამ იცოდა საფრთხეების შესახებ, რომელიც არსებობდა, უბრალოდ, ალბათ, რთულია ჩვენი პარტნიორებისთვისაც

წინასწარი რეაგირების გაკეთება იქ, როდესაც სასწორის მეორე მხარეს არის რუსეთის ფედერაცია და დასამალი არ არის ნამდვილად, რომ რუსეთის ფედერაციას ძალიან ბევრი ჩვენი პარტნიორი ქვეყანა განიხილავს, როგორც უმნიშვნელოვანეს პარტნიორს, როგორც პარტნიორს ეკონომიკის საკითხებში, როგორც პარტნიორს, პირველ რიგში, ენერგეტიკის საკითხებში და გაზის მიწოდების საკითხებში, როგორც პარტნიორს უსაფრთხოების საკითხებში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ასეთ სიტუაციაში ბევრი ქვეყნისთვის უფრო მოსახერხებელი იყო, ასე ვთქვათ, თვალების დახუჭვა. ამ შემთხვევაში მე უკვე არა როგორც დიპლომატი, არამედ როგორც პოლიტიკოსი უფრო გულახდილად ვამბობ იმას, რასაც ვერ ვიტყოდი ჩემი მინისტრობის პერიოდში. ამიტომ, ბუნებრივია, ვითარების ბოლომდე გამწვავების პირობებში მისვლამდე ანუ ვითარების ბოლომდე გამწვავებამდე ბევრი ქვეყნისთვის უფრო მოსახერხებელი იყო შედარებით თვალების დახუჭვა და ვითარების წარმოდგენა ისე, თითქოს, დიახ, რაღაც პრობლემები არის, მაგრამ ეს არ არის კრიტიკული, ეს არ არის კრიზისული და თუ ჩვენ მშვიდად ვიქნებით, ყველაფერი შეიძლება მოგვარდეს. მე ვფიქრობ, ერთი პოზიტივი, თუ რამე პოზიტივი შეიძლება მოეტანა რუსულ აგრესიას, იყო სწორედ ის, რომ ასეთი პოზიციის დაკავება დღეს ძალიან რთულია, ვინაიდან აგვისტოში რუსეთმა ძალიან ნათლად გამოაჩინა, რომ ნებისმიერი საფრთხე, რომელიც მოდის ამ ქვეყნის მხრიდან, უნდა იქნეს აღქმული სერიოზულად და დღევანდელი რუსეთის ხელისუფლება არის ხელისუფლება, რომელიც ასეთ პირობებში სიტყვას და საქმეს მაინცდამაინც ერთმანეთისგან არ ასხვავებს. ალბათ, ჩვენთვისაც, როდესაც ვსაუბრობთ, რომ ძნელი წარმოდგენი იყო, მე ბევრჯერ მომისმენია აქ მოსული მინისტრებისგან სიტყვები, ძნელი წარმოსადგენი იყო რუსული ამ მასშტაბის აგრესია. ამან არ უნდა შეგვიქმნას იმის შთაბეჭდილება, რომ ჩვენ გულუბრყვილო ხელისუფლება ვართ, რომელიც პროგნოზს ვერ აკეთებს. ბუნებრივია, იყო ამისი ალბათობაც, ოღონდ, ობიექტურ პირობებში ასეთი მასშტაბის აგრესიის ალბათობა იყო მცირე. იგივე, ვთქვათ, რომ შევხედოთ, როდესაც რუსეთი აკეთებს განცხადებებს, რომ ის განალაგებს რაკეტებს და მზად არის, სამიზნეში აიყვანოს და დაბომბოს ჩეხეთი და პოლონეთი, ხომ, აკეთებს ამ განცხადებებს ღიად, მაგრამ როგორია ამის ალბათობა, ვინ იღებს ამას დღეს დასავლეთში, როგორც სერიოზულ სცენარს და რამდენად ალბათურ სცენარად უყურებენ ამას დასავლეთში. ანუ გარკვეულწილად ასეთი ინფორმაცია ყოველთვის, აქ ყოველთვის ხდება ასეთი ტიპის მუქარის და ინფორმაციის მოქცევა ზოგადი პოლიტიკური რაციონალობის და ლოგიკის ფარგლებში, რაც ნიშნავს, რომ, წესით და რიგით, რუსეთმა ჩეხეთს არ უნდა ესროლოს რაკეტა და არ უნდა დაბომბოს, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა საქართველოს შემთხვევაში, თურმე, შესაძლებელია, რომ ასეთი ტიპის განცხადებებს შემდგომში მოჰყვეს ქმედებაც. ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ, რომ არ ველოდით, ალბათ, ეს არ ნიშნავს ჩვენს გულუბრყვილობას. ეს უფრო მეტად ნიშნავს იმას, რომ რუსეთი დღეს არის წამსვლელი ბევრ ისეთ ნაბიჯზე, რაზეც ის ვერ წავიდოდა ან არ წავიდოდა, თუნდაც, ერთი წლის წინ, ხომ, როდესაც, ვთქვათ, რუსეთმა სამხედრო მანევრები ჩაატარა ვენესუელის ნაპირებთან და ფლოტი გააგზავნა კარიბის ზღვაში. ალბათ, ძალიან ბევრი ჩვენი მეგობარი აშშ-შიც არ ელოდა ამას ისევე, როგორც, ვთქვათ, კალინინგრადში "ისკანდერების" განლაგებაზე განცხადებას, მაგრამ, ნუ, სამწუხაროდ, ლოგიკა გვაჩვენებს, რომ უნდა ველოდოთ და, ალბათ, ამ ყველაფრის ფონზე ჩვენთვის ბევრად უფრო ადვილი იქნება დარწმუნება ჩვენი პარტნიორების სამომავლოდ, რომ ასეთი საფრთხეები რეალურად არსებობს და რეალურად მოდის რუსეთისგან, ვინაიდან დასამალი არ არის, რომ წინა პერიოდის განმავლობაში, როდესაც ჩვენ ვსაუბრობდით რუსეთიდან მომავალ საფრთხეებზე, ძალიან ბევრი ადამიანი ევროპაში ფიქრობდა, რომ ჩვენ ვაზვიადებდით, ფიქრობდა, რომ ჩვენ გვაქვს მიდრეკილება გაზვიადებისკენ, დრამატიზაციისკენ და ჩვენ გვინდა, უბრალოდ, ჩვენი თავი გამოვაჩინოთ, როგორც პოტენციური მსხვერპლი და ამითი მოვიპოვოთ სიმპათია. სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა, ეს ადამიანები მართალნი არ იყვნენ და ჩვენ გვქონდა სრული საფუძველი, როდესაც ჩვენ ვესაუბრებოდით ჩვენს ევროპელ კოლეგებს და ვაფრთხილებდით მათ რუსული აგრესიის შესაძლებლობის შესახებ. ამიტომ მზა რეცეპტი, ბუნებრივია, სამწუხაროდ, მე არ მაქვს, ბატონო გოგა ისევე, როგორც ვერავის ვერ ექნება. მაგრამ, მე ვფიქრობ, ყველაფერი ის, რაც ჩამოვთვალე, მათ შორის, პირველ რიგში აგვისტოს აგრესია, ბევრად უფრო სარწმუნოს, ცუდი გაგებით სარწმუნოს, ხდის რუსეთის ნებისმიერ მუქარას, რომ ეს მუქარა შესრულდება. ამიტომ, ალბათ, სამომავლოდ ჩვენი პარტნიორები ასეთ მუქარებს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ.

თავმჯდომარე. ბატონ დავითთან თუ აქ ვინმეს შეკითხვა კიდევ? ბატონო დავით, აა, ბატონო აკაკი.

-------- ბატონო დავით, თქვენ საუბრობდით, რომ ესკალაცია ამ კონფლიქტის უკვე დიდ ხანია მიმდინარეობდა და გამწვავება დიწყო 2008 წლის დასაწყისიდან. ამავე დროს ე.წ. სამშვიდობოები იქ უკვე დივერსიულ საქმიანობას ეწეოდნენ და არავითარ შემთხვევაში არ ასრულებდნენ მიუკერძოებელი მედიატორის როლს. ხომ არ იყო შეცდომა, რომ ჩვენ არ გავაუქმეთ, ქართულმა სახელმწიფომ არ გააუქმა სამშვიდობოების მანდატი და თუ ეს შეცდომა იყო, რატომ არ გავაუქმეთ?

დ.ბაქრაძე. ძალიან წინააღმდეგობრივი საკითხია. გაზაფხულზე უკვე, მე არ დაგიმალავთ, რომ რეალურად იდგა ქართული მხრიდან სამშვიდობოების მანდატის გაუქმების საკითხი და როდესაც მე ვახსენე ის ძირითადი სიგნალები, რომელსაც ჩვენი საელჩოების დახმარებითაც და პირადად მე ვუგზავნიდით ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, ამ სიგნალებში ერთ-ერთი ძირითადი იყო სამშვიდობო ოპერაციის ჩანაცვლების აუცილებელობა და ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობა და სწორედ ამის შედეგიც იყო გაეროში გადასინჯვის პროცესის

დაწყება, რომელიც მე ვთქვი.

ამ გადასინჯვის პროცესის ამოცანას წარმოადგენდა სწორედ ახალი სამშვიდობო ოპერაციის დაწყება კონფლიქტის ზონაში ანუ რატომ არ იქნა გაზაფხულზე გადაწყვეტილება მიღებული. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ბუნებრივი რეაქცია რუსეთის ნაბიჯებზე, როდესაც რუსეთი წავიდა ვითარების ესკალაციაზე, თუმცა ჩვენ ჩვენი უცხოელი პარტნიორების რჩევით და თხოვნით და დარწმუნებით, ეს ნაბიჯი მაშინ არ გადავდგით, ვინაიდან ჩვენი პარტნიორების პოზიცია იყო, რომ ამ ნაბიჯის გადადგმით ჩვენ მივეხმარებოდით, დავეხმარებოდით რუსეთს უფრო მეტად მოეხდინა სიტუაციის ესკალაცია და მივცემდით რუსეთს საბაბს, რომ გადაედგა კიდევ უფრო მტრული და აგრესიული ნაბიჯები და ჩვენ ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ერთად შევთანხმდით, რომ ამას გავაკეთებდით არა ცალმხრივი დეკლარაციის გზით, არამედ რეალურად ჩანაცვლების გზით.

სწორედ ამის შედეგი იყო შემდეგ უკვე, რომ გაეროში მიმდინარე პროცესი, რომელიც მე ვახსენე, ჩანაცვლების. ამის შედეგი იყო შტაინმაიერის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ძირეულ ცვლილებებს კონფლიქტებთან დაკავშირებით. ამის შედეგი იყო ბატონი სოლანას ვიზიტი ზაფხულში, როდესაც ასევე, მთავარი თემა იყო ჩანაცვლება და ინტერნაციონალიზაცია. ამის შედეგი იყო ქალბატონ კონდოლიზა რაისის 10 ივლისის ვიზიტი საქართველოში, სადაც მთავარი თემა განხილვის იყო სწორედ სამშვიდობოების ჩანაცვლების საკითხი. ანუ, ჩვენ გავიზიარეთ ჩვენი დასავლელი პარტნიორების პოზიცია, რომ იმისთვის, რომ რუსეთს არ ჰქონოდა დამატებითი საბაბი დესტაბილიზაციის და არ გამოეყენებინა ჩვენი გადაწყვეტილება ფართომასშტაბიანი აგრესიის დასაწყებად და სიტუაციის ასარევად, ჩვენ გავივლიდით ჩვენს პარტნიორებთან ერთად თანდათანობითი ტრანსფორმაციის გზას და არ მივიღებდით ერთბაშად მყისიერ და ცალმხრივ გადაწყვეტილებას.

ეხლა, ეს ქართული მხრიდან იყო ძალიან კონკრეტული ნაბიჯი. ძალიან კონკრეტული ნაბიჯი, რომელიც კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ არანაირი კონფრონტაცია ჩვენ არ გვინდოდა. ნაბიჯი, რომელიც აჩვენებს, რომ ჩვენი ამოცანა იყო მაქსიმალურად კონსტრუქციულად გვემუშავა და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად მოგვეგვარებინა ეს კონფლიქტი და არა ცალმხრივი ნაბიჯებით და ეს იყო ნაბიჯი, რომელიც კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვერიდებოდით ყველა კონფრონტაციას, ყველა შესაძლო კონფრონტაციას რუსეთის ფედერაციასთან. ჩვენ რომ კონფრონტაცია გვდომოდა, ჩვენთვის ძალიან ადვილი და პოპულარული გადაწყვეტილება იქნებოდა სამშვიდობოების მანდატის გაუქმება გაზაფხულზე, როცა ამისთვის პარლამენტიც და საზოგადოებაც ამსოპლუტურად მზად იყო, მაგრამ ჩვენი შევეცადეთ ბოლომდე გამოგვეყენებინა ყველა შანსი. ჩვენ შევეცადეთ ბოლომდე გამოგვეყენებინა დასავლური დიპლომატიის რესურსი. ჩვენ შევეცადეთ ბოლომდე აგვეცილებინა თავიდან რუსეთთან დაპირისპირება და ეს გაგვეკეთებინა თანდათანობითი ევოლუციის გზით.

ნუ, დღეს როგორც გამოჩნდა, სამწუხაროდ, რუსეთმა ამ გზაზე ბოლომდე მისვლა არ გვაცალა და აგვისტოს აგრესიამ ფაქტიურად გააჩერა ყველა ის პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ზაფხულში ჩვენ ვიყავით ინტერნაციონალიზაციასთან ისე ახლოს, როგორც არასდროს და ყველა გეგმა და ვიზიტი, რომელიც მე ჩამოგითვალეთ, მათი მთავარი ამოცანა იყო, სწორედ ინტერნაციონალიზაცია და სამშვიდობო ძალების შეცვლა. შეიძლება, მე ვერ ვიტყვი დაბეჯითებით, მაგრამ შეიძლება ეს დინამიკაც იყო ერთ–ერთი ფაქტორი, რომელმაც რუსეთს უბიძგა უფრო აქტიური მოქმედებები დაეწყო აგვისტოში.

თავმჯდომარე. ბატონო დავით, მე მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ მობრძანებისათვის. დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ თქვენ ითანამშრომლეთ კომისიასთან, მოგვაწოდეთ მაქსიმალური ინფორმაცია იმ მოვლენებთან დაკავშირებით თუ როგორ ვითარდებოდა აგვისტომდე მოვლენები, რა ხდებოდა აგვისტოს მოვლენების პერიოდში, რა გადაწყვეტილებებს ღებულობდით თქვენ და თქვენ მაქსიმალურად განმარტეთ ყველაფერი. ძალიან მნიშვნელოვანი არის ის, რომ, ქვეყნის განვითრებისთვის, რომ კომისიასთან თანამშრომლობს ქვეყნის მეორე პირი და პარლამენტის თავმჯდომარე. ამისათვის კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას და დიდი იმედი მაქვს, რომ თუ ჩვენ დაგვჭირდა რაღაც დამატებითი ინფორმაციის მიღება ამ მიმართულებით, ჩვენ შევძლებთ თქვენგან ამ ინფორმაციის მიღებას. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდით მობრძანებისათვის.

დ.ბაქრაძე. ძალიან დიდი მადლობა. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამომიძახოთ კიდევ ერთხელ და მოხარული ვიქნები, ნებისმიერ დამატებით დეტალთან დამატებითი ინფორმაცია მივაწოდო კომისიის წევრებს და ამ შემთხვევაში, ალბათ, ისევ, უკვე, რადგანაც ჩვენი შეხვედრა დასრულებელია, უკვე პარლამანეტის თავმჯდომარის სტატუსით შემიძლია გითხრათ, რომ ნამდვილად მხარს ვუჭერ მთლიანად და მივესალმები კომისიის მუშაობას და ჩვენი ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში, ალბათ, ეს არის სრულიად ახალი სტანდარტი. ამიტომ, ნამდვილად სრულიად გულწრფელად გისურვებთ წარმატებულ მუშაობას და წარმატებულ დასრულებას. დიდი მადლობა.

თავმჯდომარე. დიდი მადლობა, ბატონო დავით. კომისიამ დაამთავრა დღეს მუშაობა. კომისია გააგრძელებს ხვალ მუშაობას დღის 3 საათზე, სადაც იქნება მოწვეული საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში ბატონი ეროსი კიწმარიშვილი, ერასტი კიწმარიშვილი.